პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 16 (26) პარასკევი, 12 მაისი, 1944 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერში

— ბოლშევიკური პრესის დღე (მოწინავე).
— საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე დემონსტრაცია.
— შალვა დადიანი—სილუეტი ნინოშვილისა.
— გრიგოლ ცეცხლაძე — ლექსები.
— ლადო დონაძე—ნ. რიმსკი-კორსაკოვი.
— გერონტი ქიქოძე—ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება.
— სერგო ჭილაია — ეგ. ნინოშვილის შემოქმედების ევოლუცია.
— მწერლის ცხოვრების გზა (ნინოშვილის ბიოგრაფია).
— შალვა რადიანი — ეგნატე ნინოშვილი —მხატვარი.
— ქრონიკა და ინფორმაცია.

ბოლშევიკური პრესის დღე

ბოლშევიკური პრესის ტრადიციული დღე—ხუთი მაისი—მიმდინარე წელს აღინიშნა საბჭოთა ქვეყნის დიად ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში. დიდ ბრძოლებში, რომელშიაც გაიმარჯვა წითელი არმიის ლეგენდარულმა სიმამაცემ და დიდი **სტალინის** სტრატეგიულმა გენიამ — მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოლშევიკურმა პრესამ, პარტიის ამ მძლავრმა, უბადლო ბასრმა იარაღმა, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველ დღე, ყოველ საათს ელაპარაკება მილიონებს მისთვის საჭირო ენაზე.

ბოლშევიკური პრესა **ლენინისა** და **სტალინის** პირმშოა. ის რაზმავდა და რაზმავს საბჭოთა პატრიოტების მრავალმილიონიან არმიას, ის აღაგზნებს ჩვენს გულში სამშობლოს მხურვალე სიყვარულს. თავისი მართალი სიტყვით ის შთააგონებს ფრონტისა და ზურგის სახელოვან ადამიანებს. ბოლშევიკური პრესა ზრდის იმ ადამიანებს, რომელნიც თავიანთი ხელით სჭედენ ჩვენი სამშობლოს გამარჯვებას.

ბოლშევიკური პრესა მუდამ იყო და არის უდრეკად ერთგული თავისი სახელოვანი ტრადიციებისა, რომელნიც შექმნეს ლენინმა და სტალინმა. ოცდათორმეტი წლის წინათ გამოვიდა „პრავდის“ პირველი ნომერი. „იგი დაარსებული იქნა ლენინის მითითებით სტალინის, ოლმინსკის და პოლეტაევის ინიციატივით. მასობრივი მუშური გაზეთი „პრავდა“ იშვა რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობასთან ერთად“. (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 225). „1912 წლის „პრავდა“ —ეს საძირკველის ჩაყრაა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს“ **(სტალინი)**.

და დღესაც ისევე, როგორც წარსულ ბრძოლებში, როგორც ყოველთვის, ბოლშევიკური პრესა გვინერგავს სიმტკიცეს და ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ურყევ რწმენას. მის ფურცლებიდან ხმამაღლა გვესმის ლენინურ-სტალინური სიმართლე. ესაა ჩვენი პრესის თვისებები: ღრმა პრინციპულობა, რწმენა მასების შემოქმედებითი ძალებისადმი, მასებთან მჭიდრო კავშირი, საბრძოლო ოპერატიულობა. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა ასრულებდა და ასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, კოლექტიური აგიტატორის, კოლექტიური ორგანიზატორის მაღალ ფუნქციებს,—ის განუყრელად და მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანების გულთან, იმ ადამიანებთან, რომელნიც წარმატებით ანადგურებენ ფაშისტურ ბრბოებს.

განუზომელია დამსახურება ბოლშევიკური პრესისა, რომლის მუშაკები მთელ ძალას და ენერგიას ანდომებენ ფრონტისათვის დახმარების გაძლიერებას, ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვების დაჩქარებას. საბჭოთა ჟურნალისტის, ბოლშევიკური პრესის მუშაკის ხმა ისმის ყველგან — ფრონტზე და ზურგში. მრავალმა ჟურნალისტმა თავი გამოიჩინა, როგორც გაბედულმა ჯარისკაცმა. მრავალმა ისახელა თავი: აი ერთი მაგალითი: ამ დღეებში „კომუნისტის“ ფურცლებზე ჩვენ გავეცანით ფრონტელი რედაქტორის მაიორ ა. კოკილაშვილის წერილს იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობას იღებდა საფრონტო გაზეთი ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ყოველი საბჭოთა ჟურნალისტის გულს სიამაყით ავსებს ეს ამბავი: საბეჭდი დაზგა იბრძვის ტყვიამფრქვევის დაზგასთან ერთად მხარდამხარ; გაზეთს აწყობენ და ჰკრავენ ზარბაზნების და ნაღმსატყორცნების გრიალში,—ყუმბარის ჰილზებისაგან დამზადებულ ჭრაქის შუქზე. ყოველი წუთი ოქროს ფასად ღირს, რათა სასწრაფოდ მიაწოდონ გაზეთი ძლევამოსილ შეტევაზე გადასულ მებრძოლებს. ეს ცალკე შემთხვევა არ არის, ეს მასობრივი მოვლენაა. ასე იბრძვიან საბჭოთა ჟურნალისტები მთელს მომქმედს არმიაში; ყველაფერი ეს საბჭოთა ჟურნალისტების მთელი არმიის ზრდაზე, მის სიძლიერეზე მეტყველებს.

საქართველოს პრესის მუშაკები, რომელნიც აღზრდილნი არიან ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მიერ სამშობლოსადმი, დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, წარმატებით ასრულებდნენ და ასრულებენ იმ ამოცანებს, რომელნიც სამამულო ომის ეპოქამ ბეჭდვითი სიტყვის წინაშე დააყენა.

ბოლშევიკური პრესის დღეს ჩვენ ავღნიშნავთ რა ამ წარმატებებს, იმავე დროს ვითვალისწინებთ იმ ამოცანებსაც, რომელნიც ჩვენს წინაშე სდგანან.

მხატვრულ-ლიტერატურულმა პრესამ, რომელიც ორგანიული და განუყრელი ნაწილია ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვისა, უფრო მეტად უნდა აამაღლოს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონე. მან თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში ახალი, უფრო მაღალი ეტაპისათვის ბრძოლაში, იმ ეტაპისათვის, რომელიც ნათელი გამომხატველი იქნება წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებისა. ამისათვის კი საჭიროა დაძაბული, დაუღალავი, ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. ახლა მართლაც საჭიროა კალამი ხიშტს გაუთანაბროთ, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა.

თანამედროვე ლიტერატურაში ხშირია შემთხვევები, როცა მწერალი ამბების უბრალო რეგისტრატორად, უკვე ერთხელ თქმულის მაღალფარდოვან ცნებებში მთხრობელად ხდება. ახლა უკვე ამის მოთმენა შეუძლებელია. ომმა უფრო მეტი მოთხოვნები წამოაყენა, უფრო გაამახვილა გემოვნება, ხალხი უსაზღვროდ გაიზარდა. ახლა დაშტამპული ფრაზებით, ტრაფარეტული სახეებით წერა აღარ შეიძლება. მკითხველი მეტს მოითხოვს და სამართლიანადაც მოითხოვს. როგორ ვაკმაყოფილებთ ჩვენ ამ მოთხოვნებს? აი ამას უნდა ამოწმებდეს კრიტიკა და კერძოდ ლიტერატურულ-სახელოვნო გაზეთის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ეს არის. ჩვენ უფრო უნდა გავაძლიეროთ საფუძვლიან ცოდნაზე დამყარებული, მიუდგომელი, მეცნიერული კრიტიკა, ბოლშევიკურ პრინციპიალობაზე დაყრდნობილი კრიტიკა, რომელიც დაეხმარება მწერალს ჰორიზონტის გაფართოვებისა და ოსტატობის გაღრმავებაში. მხატვრულ-ლიტერატურული პრესა, მწერალთა კავშირისა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი ორგანოები მოწოდებულნი არიან იყვნენ ორგანიზატორები მწერალთა და ხელოვანთა მუშაობისა ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ღირსშესანიშნავი გამოფენა

„ლენინგრადის გმირული თავდაცვა“ — ასე ეწოდება იმ დიდ გამოფენას, რომელიც ახლახან გაიხსნა ლენინგრადში და რომელიც მრავალი ექსპონატისა და დოკუმენტის საშუალებით ნათლად წარმოგვისახავს ლენინის ქალაქისათვის ბრძოლის ისტორიას, იმ ლეგენდარული ბრძოლის ეპოპეას, რომელიც დამთავრდა წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით და ჰიტლერული დივიზიების განადგურებით.

გამოფენა იწყება ომამდელი ლენინგრადის ჩვენებით. სრულყოფილად ნაჩვენებია ლენინგრადი — დიდი ინდუსტრიული ცენტრი, რუსეთის სამხედრო დიდების ქალაქი, მეცნიერებისა და კულტურის კერა. იწყება ომი. გამოფენის მნახველი ხედავს, როგორ გარდაქმნა ლენინის ქალაქმა მთელი თავისი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე: წარმოდგენილია ერთ-ერთი საშაქარლამო ფაბრიკის მიერ დამზადებული კონფეტების ყუთები, მის გვერდით აწყვია ყუმბარები, რომელთა დამზადება დაიწყო იმავე ფაბრიკამ ომის დაწყების შემდეგ. ნაჩვენებია, როგორ ირაზმებოდა ქალაქის მოსახლეობა სახალხო ლაშქრის რიგებში, როგორ აშენებდნენ მცხოვრებნი სიმაგრეებს ქალაქის მისასვლელებთან. მხატვარ რაიჩევსკაიას სურათზე ასახულია, როგორ ამზადებენ საევაკუაციოდ ბალტიის მეზღვაურები ერმიტაჟის ძვირფას ექსპონატებს.

ომი თანდათან უახლოვდებოდა ქალაქის ზღუდეებს. ფრონტელი მხატვრის ბანტიკოვის სურათი გვიჩვენებს საზღვაო ქვეითი ჯარის ბრძოლას ლენინის ქალაქის დასაცავად.

ძნელია ჩამოთვლა ყველა ექსპონატისა, რომელიც წარმოდგენილია გამოფენაზე. აქ ასახულია მთელი მრავალფეროვანი, დაძაბული, ლეგენდარული ცხოვრება გმირული ლენინგრადისა ომის წლებში.

უზარმაზარი რუკა გვიჩვენებს ბლოკადის რკალს ლენინგრადის ირგვლივ. თვით ყველაზე უძნელეს დღეებში ლენინგრადი განაგრძობდა დაუღალავ შრომას, ამზადებდა იარაღს, საბრძოლო საჭურველს. იმავე დროს ბლოკადის იმავე უძნელეს პირობებში ქალაქის კულტურული ცხოვრება არ შეწყდარა: გამოფენაზე აღბეჭდილია პირველი შესრულება შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიისა ფილარმონიის დარბაზში.

ლენინის გმირულმა ქალაქმა დასძლია ყველა დაბრკოლება, მამაცურად გადაიტანა ბლოკადის სიძნელენი. დიდი ადგილი აქვს დათმობილი გამოფენაზე „სიცოცხლის გზას“, რომელიც მაშინ ლადოგის ტბაზე გადიოდა. აი მანქანები სურსათით, რომელნიც მტრის ცეცხლქვეშ მიემართებიან ქალაქისაკენ! აი მეზენიტეები, რომელნიც იცავდნენ ლადოგის სახელგანთქმულ გზას მტრის საჰაერო თავდასხმებისაგან!

მრავალი ექსპონატი მკაფიოდ ასახავს ლენინგრადის ფრონტის ჯარების ძლევამოსილ შეტევას, გერმანელების განადგურებას ლენინგრადთან. ამ გამოფენაზე მნახველი ნათლად, თვალსაჩინოდ ხედავს, როგორ ბრწყინვალედ გაიმარჯვა ლენინის ქალაქმა.

საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე დემონსტრაცია

ოთხ მაისს, ნაშუადღევს მთელი ჩვენი ქვეყანა დაძაბული ყურადღებით უსმენდა რადიოს, რომელიც საბჭოთა ხალხს აუწყებდა საკავშირო მთავრობის დადგენილებას მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ. არ გაუვლია ერთ საათსაც კი, რომ მთელი ჩვენი სამშობლო ამ უაღრესად მნიშვნელოვან დადგენილების შესახებ ალაპარაკდა: უსაზღვრო ენტუზიაზმით შეხვდნენ ამ ცნობას საბჭოთა პატრიოტები, რომლებიც მზად არიან მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი ძალონი მოახმარონ საძულველი მტრის საბოლოო განადგურების საქმეს. ქალაქები, სოფლები, ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები მყისვე ფეხზე დადგნენ და დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას.

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში საბჭოთა ადამიანები იმეორებენ დიდი ბელადის ბრძნულ სიტყვებს: წითელმა არმიამ სამშობლოსათვის ბრძოლებში უმაგალითო გმირობა გამოიჩინა, მაგრამ საბჭოთა ხალხიც პირნათლად იხდის ვალს წითელი არმიის წინაშე.

ჩვენ კვლავაც მთელის ენერგიით და მთელი ჩვენი შესაძლებლობით გადავუხდით ვალს სამშობლოსათვის თავგანწირულ მებრძოლს, ჩვენს მამაც არმიას, — აი ამ სიტყვებით უპასუხა საბჭოთა ხალხმა დიდ ბელადს. ახალი სესხის გამოშვების პირველსავე დღეს ჩვენი ქალაქების და სოფლების მთელმა მოსახლეობამ მოახდინა პატრიოტიზმის უდიდესი დემონსტრაცია — გვიჩვენა თავისი მზადყოფნა მისცეს სესხად თავისი დანაზოგი საბჭოთა სახელმწიფოს, რომელმაც შესძლო ჯერ გამკლავებოდა, ხოლო შემდეგ სასტიკად დაემარცხებია გერმანელ ბარბაროსთა დაჯავშნული ურდოები. ასობით და ათასობით გამართულ მიტინგებზე გაისმოდა გულის სიღრმიდან მომდინარე პატრიოტული სიტყვები მუშებისა, კოლმეურნეებისა, მშრომელი ინტელიგენტებისა, რომლებიც წმინდა მოვალეობად აღიარებდნენ თავიანთი დანაზოგებით ხელის გამართვას საბჭოთა მთავრობისათვის, ჩვენი საყვარელი წითელი არმიისათვის. იმ თავითვე ერთბაშად დაიწყო სესხზე ხელისმოწერა. იშვიათია საწარმო, დაწესებულება, კოლმეურნეობა, სადაც დარჩენილიყოს თუნდაც ერთი სრულწლოვანი მოქალაქე, რომელსაც პირველ დღესვე სესხზე ხელი არ მოეწეროს. საბჭოთა პატრიოტებმა ამ აქტით ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს თავიანთი რკინისებური დარაზმულობა **ლენინ-სტალინის** პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ბრძენი ბელადისა და მხედართმთავრის დიდი **სტალინის** გარშემო.

უმაგალითო წარმატებით ვრცელდება ახალი სესხი საბჭოთა საქართველოში. ბევრი მუშა, სპეციალისტი, მოსამსახურე, ინტელიგენტი იშვიათი ხალისით სესხად აძლევს სახელმწიფოს ერთი, ერთნახევარი თვის, ზოგჯერ ორი თვის ხელფასსაც კი. საქართველოს ქალაქებს ამ დიდ პატრიოტულ საქმეში გვერდს უმშვენებს საქართველოს კოლმეურნე გლეხობა. ჭეშმარიტად აღმაფრთოვანებელია კოლმეურნეთა პატრიოტიზმი.

11 მაისისათვის საქართველოს რესპუბლიკაში მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი გავრცელებული იყო თითქმის 700 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან ნახევარზე მეტი ნაღდად არის შეტანილი. სესხის გავრცელება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და რაიონები, სოფლები და კოლმეურნეები ერთმანეთს ეჯიბრებიან თუ რომელი მათგანი უფრო მეტს მისცემს სამშობლოს, წითელ არმიას მტრის განადგურებისათვის, საბჭოთა იარაღის გამარჯვებისათვის, გერმანელ დამპყრობთა მიერ დანგრეული და გაპარტახებული ქალაქების და სოფლების აღდგენისათვის, მათი აღორძინებისა და აყვავებისათვის.

წინანდელი წლების სახელმწიფო სესხების გავრცელების დროსაც საბჭოთა საქართველოს მშრომელი მასები ამჟღავნებდნენ და ცხადჰყოფდნენ მაღალ პოლიტიკურ შეგნებას და ბოლშევიკურ დარაზმულობას. ქართველი ხალხი ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებდა სესხის გავრცელების გეგმებს, მაგრამ მესამე სამხედრო სესხის წარმატება, მისი გავრცელების ტემპები ბევრად უფრო სწრაფია წინანდელზე. ეს არის ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური მთლიანობის შემდგომი ზრდის მაჩვენებელი, საბჭოთა ხელისუფლებასთან, **ლენინ-სტალინის** პარტიასთან მისი განუყოფლობის ბრწყინვალე დემონსტრაცია. ქართ[illegible] ხალხი უსაზღვროდ მადლ[illegible] საბჭოთა მთავრობისა, რომელ[illegible] [illegible] დღეებში ხა[illegible] [illegible] იშვიათი [illegible] და რომელიც ის[illegible] [illegible] ხალხის გიგანტურ [illegible] უზრუნველჰყო ბარბა[illegible] მტერზე უეჭველი და მოახ[illegible] საბოლოო გამარჯვება.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი სიხალისით აძლევენ თავიანთ დანაზოგებს მთავ[illegible], აძლევენ იმ ღრმა რწმენით, [illegible] მათ მიერ გაღებული მანე[illegible] გადაიქცევიან ახალ ზა[illegible] [illegible] და მტრის წინააღმდეგ მრისხანე საბრძოლო იარაღებად, ეს მანეთები დაეხმარებიან განთავისუფლებულ რაიონებს, ხელს შეუწყობენ საომარ ღონისძიებათა წარმატებით დაფინანსებას და ამით უფრო მეტად მოაახლოვებენ ჰიტლერული ტირანიის სრული მოსპობის ჟამს.

საბჭოთა ხალ[illegible] ახალ სესხზე ერთსულოვანი ხელ[illegible]წერით ერთხელ კიდევ დაადას[illegible] თავისი რკინისებური ერთიან[illegible], ბრძოლისა და გამარჯვების [illegible] მოუდრეკელი ნებისყოფა.

მიტინგი მწერალთა კავშირში

4 მაისს მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვებასთან დაკავშირებით მწერალთა სასახლეში შედგა მწერლებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეების მიტინგი. მიტინგი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მთავრობის დადგენილებას ახალი სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ და ცნობას ამ სესხის იშვიათ წარმატებაზე.

მოხსენებით ახალი სესხის შესახებ გამოვიდა ამხ. იაკინთე ლისაშვილი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ახალი სესხის დანიშნულება და მასზე ხელისმოწერის პირობები.

ამავე საკითხზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ლეო ქიაჩელი, ს. ეული, ვ. [illegible] ნ. ჩაჩავა, დ. ჯანელიძე, ს. წვერავა და სხვ., რომლებმაც მოუწოდეს ამხანაგებს გაეღონ თავიანთი [illegible]ზოგები ახალ სესხზე—საბჭოთა [illegible] მომავალი გამარჯვების ს[illegible] ხელის მოსაწერად.

მიტინგის [illegible] ჩატარდა სესხზე ხელისმოწ[illegible] მწერლებმა საშუალოდ თითოე[illegible] ხელი მოაწერა 1.500-2.000 [illegible] რაოდენობით, ხოლო [illegible]რატურული ორგანიზაციის მუშ[illegible]ამსახურეებმა თითოეულმა სა[illegible] თვენახევრის ხელფასის ფა[illegible]ში.



ეგნატე ნინოშვილის „პალიასტომის ტბის“ ილუსტრაცია

ნახ. აკად. ე. ლანსერესი.



ნახ. ირ. შტემბერგისა.

შალვა დადიანი

სილუეტი ნინოშვილისა

გურიის ლაღ ბუნებაში რომ იმყოფებით, თქვენს ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს ირგვლივ ჩამწკრივებული ხუჭუჭა გორაკები. გგონიათ თუ მომცრო ბუჩქნარია გორაკებზე ჩამოგვირისტებული. ეს შორიდან. რომ მიეახლებით, უფრო ხშირად ულრანი ტყეა თავისი იდუმალი ხმაურით, წყაროების ჩქრიალით და მაცოცხლებელი სიხალისით აღსავსე.

ტყეს აქვს თავისი დიდი ცხოვრება. გურულები ჰგვანან ამ ხუჭუჭა გორაკებს თავის სისხარტით, თავის მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მთელის თავისი სხეულებრივი აღნაგობით. სიცოცხლის სიხალისით აღსავსეა გურულის ბუნება. მუდამ მომხიბლავად ჩქრიალებს ნიჭიერება საქართველოს ამ მკვირცხლი კუთხისა.

გურიასაც აქვს თავისი დიდი ცხოვრება, ისტორია.

როგორც ვიცით, აქ არის დაბადებული ჩვენი სასიქადულო მწერალი ეგნატე ნინოშვილი.

იგი ბავშვობიდანვე უჭვრეტდა ამ საუცხოვო ბუნებას, ამ მოკისკასე ხალხს, და თუ თავიდანვე იგი აღტაცებული იყო ბუნებრივი სიკეკლუცით თავის გარემოსი, რამდენი მეტი იზრდებოდა და რამდენი მეტი ახლო ეცნობოდა მისი მახვილი გონება და მაღალ-ნიჭიერი დაკვირვება მისი მხატვრულ თვალისა ირგვლივ გადაშლილ ცხოვრებას, იმდენი მეტი იღრუბლებოდა მისი შინაგანი სახე, მისი შეგნება, იმდენი უფრო ვიწროვდებოდა მისი გული.

მას თამამად შეეძლო ეთქვა ილიას უკვდავი ფრაზა: „და რამდენადაც მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული“.

გონს მოეგო თუ არა, მან თვალნათლივ დაინახა, რომ ხალხი ნიჭიერი, გამრჯე და მშრომელი, სწავლის მუდამ მწყურვალი და მოწინავე—იჩაგრებოდა შინაურ და გარეშე მომძლავრებულთაგან.

ვინ იყვნენ ესენი, ყველას გვახსოვს თვით ნინოშვილის ჩამოძერწილ სახეებიდან. შინაობაში: დავით დროიძეები, ტარიელ მკლავაძეები, იასონ უქმაძეები, მოსე მწერლები და სხვ. ეს მეზობლებში. უფრო გარედან კი მსხვილი და წვრილი წარმომადგენლები ცარიზმის დროის ადმინისტრაციისა, დაწყებული გუბერნატორებით და დათავებული სოფლის მამასახლისებით და გზირებით.

ყველა ესენი მაჯლაჯუნასავით აწვნენ მშრომელ მოსახლეობას და ანადგურებდნენ მას ეკონომიურად, ფიზიკურად, მორალურად.

წარმოდგენილი მაქვს ნინოშვილის სევდიანი თვალები, როგორის შემზარავი გაოცებით იყო აღსავსე პირველ ხანებში, როცა საბოლოოდ გაიცნო ცხოვრების ვითარება, როგორ დაუგუბდა ბოღმა გულში და შემდეგ როგორ შეებრძოლა ქვეყნის უსამართლობას თავის მრისხანე კალმით.

ამისათვის შექმნა მან დაუვიწყარი სახეები ქრისტინესი, გოგია უიშვილისა, გინატრესი, კაცია მუნჯაძისა და მრავალ სხვათა.

ეს არის მთელი გალერეა წამებულთა. მეორეს მხრივ კი მთელი ჯგრო და ჯარი მექრთამე აზნაურებისა, კუდაბზიკა სამხედროებისა, ყოყოჩა მოხელეებისა.

მას უნდოდა დიდ სიბნელეში დაენთო უბიწო კვარი გურიის ბუნებიდან გამოტანილი, რომ სინათლე მოეფინა შეჭირვებულთათვის. ის იბრძოდა მხატვრული სიტყვით. მაგრამ მან არ იკმარა ეს. ხელი მოჰკიდა პუბლიცისტიკის იარაღსაც.

ყველამ ვიცით, თუ რა დიდი როლიც შეასრულა ამ მხრივაც დაუვიწყარმა ეგნატემ. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ მისი დასაფლავების დროს გურიაში მოხდა მარქსისტული ახალგაზრდობის საჯარო საპროგრამო გამოსვლა.

ჩვენთვის კი, თანამედროვეთათვის, ეგნატე ნინოშვილი როგორათაც ბელეტრისტი კვალწარუშლელია.

მისგან ეხლაც უნდა ვისწავლოთ სიმკვეთრე სახეთა გამოვლინებაში, მიხვედრა მთავარ მტკივნეულ გარემოებისა, გულწრფელობა ამბავთა მოყოლაში, სიმძაფრე სიძულვილის ასახვაში.

ჩვენ უნდა ვიცნოდეთ ნინოშვილივით ის გარემო, რომელზედაც ვწერთ, ამ გარემოთი უნდა ვიყვნეთ გამსჭვალულნი და მაშინ ჩვენი ასახვა ცხოვრების სიხარულისა თუ მწუხარებისა ნინოშვილივით იქნება გულმართალი და კეთილშობილი.

ამჟამად კი ერთხელ კიდევ ქედი მოვიხაროთ ამ გაბედულ და უშიშარ მწერლის წინაშე.

ეგნატე ნინოშვილის ხსოვნის საღამო

გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო

დღეს, საღამოს 8 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგება ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

შესავალი სიტყვით გამოვა **შალვა დადიანი**.

მოხსენებას ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს **გერონტი ქიქოძე**.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვლენ აკად. კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, თედო სახოკია, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო ეული, გიორგი ქუჩიშვილი, ოლღა ალლაძე, დიმიტრი ჯანელიძე.

დასასრულ მოეწყობა დიდი მხატვრული განყოფილება.

„ყირიმის მიწა-წყალზე“

„სოიუზკინოჟურნალის“ მორიგი ნომერი (23-24), რომელიც დამთავრებულია კინოქრონიკის ცენტრალურ სტუდიაში, მიძღვნილია ყირიმის განთავისუფლებისადმი გერმანელი და რუმინელი დამპყრობლებისაგან. 8 ფრონტელმა კინოოპერატორმა, რომელნიც ყირიმის მისადგომებზე საომარი მოქმედების ასპარეზს არ მოსცილებიან, გადაიღო უკრაინის მე-4 ფრონტისა და ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარების მიერ ჩატარებული ოპერაციების მთელი მსვლელობა.

ეკრანზე მოცემულია პერეკოპის ყელზე მომხდარი ბრძოლების, განთქმულ ტურეცკის ვალზე ჩვენი ჯარების გადასვლის სურათი. იმავე დროს კინოჟურნალში ნაჩვენებია ბრძოლა სივაშისათვის, მოცემულია ყურის გადალახვის ღამით გადაღებული სურათები. გადაღებულია ქალაქ არმიანსკის აღების მომენტი და მთელი შემდგომი შეტევითი ოპერაციები. კინომაყურებელი ნახავს საშინელ ნგრევას, რაც ჰიტლერელებმა ყირიმის მიწა-წყალზე მოახდინეს, ნახავს ევპატორიაში განთქმული საბავშვო სანატორიუმის და ფეოდოსიაში აივაზოვსკის სახლ-მუზეუმის დანგრევას, ქერჩის ნანგრევებს და ლივადიის სასახლის დალეწილ კედლებს.

კინოოპერატორებმა გვიჩვენეს რთული სისტემა გერმანელთა ეშელონირებული სიმაგრეებისა, რომლებიც გამანადგურებელი ცეცხლით მოსპო ჩვენმა არტილერიამ. ეკრანზე მოსჩანს ტყვეთა განუწყვეტელი დენა, დიდძალი ნადავლი იარაღი და ტექნიკა მოწინააღმდეგისა, გერმანელთა ორთქლმავლები მუშაობის დროს, რომლებიც ხელთ იგდეს სწრაფად შემტევმა საბჭოთა ჯარებმა.

7 მაისს კინოჟურნალი „ყირიმის მიწა-წყალზე“ გამოშვებულ იქნა დედაქალაქის ეკრანებზე.

გრიგოლ ცეცხლაძე

ლექსები

სიმღერა

მე მინდა სიტყვამ გამოსცეს შუქი,
სიმღერა იქცეს ფრთამალ ისრებად, —
ლექსი აინთოს როგორც პატრუქი,
მინდა ლექსს ჰქონდეს ცეცხლის თვისება.
მსურს ელვარებდნენ რითმები ალის,
სიმბოლოებად მაღალ სიწმინდის,
მინდა ვთქვა ქება მთავარსარდალის,
ხალხთა ბელადის სტალინის დიდის.
მინდა სიტყვები ბრწყინავდნენ ისე,
ვით ვარსკვლავები კრემლის მაღალის.
მფეთქდეს იმედი და სიხალისე
გამარჯვებების ახალ-ახალის.
სიტყვამ მომავალს მსურს შეაყვაროს
გმირობა ჩვენი დიად მხედრების,
შრომა ფაბრიკის, ქარხნის, მაღაროს,
კოლმეურნეთა გაშლილ მინდვრების.
მე მინდა სიტყვის ყოველმა ბგერამ
მოძმეთა გულში ადგილი ჰპოვოს,
მე მინდა ჩემი წრფელი სიმღერა
მშობელ ბუნებას გადაექსოვოს.

დედა

ოთხი ბავშვი ჰყავს ლამარას,
ოთხივე დახატულები,
ქმარი ჯარშია, მაგრამ მას
დარდს ვერ შენიშნავთ სრულებით.

ფიქრობს: „რაც ქვეყნის დარდია,
მეც ჩემი წილი მრგებია!..“
და მხოლოდ ერთი სწადია,
ერთ სურვილს მიჰმაგრებია:

გამოიჩინოს გმირობა,
ვერ სჯობდეს მას სხვა დედები;
და ვით ქმარს მისცა პირობა, —
აღზარდოს თავის მტრედები!

იზრდება ოთხი პატარა,
ყმაწვილი დედის კალთაში.
ორი მოწაფე გამხდარა,
წიგნები უდევთ ჩანთაში.

ლამარა მუდამ მხნედაა,
შრომაში სოფლის თვალია,
ოჯახში ტკბილი დედაა,
თემში ლამაზი ქალია.

ვეფხვები ბახტრიონისა

შალვა, ელიზბარ, ბიძინა,
ხალხს მუდამ ემახსოვრება;
მათთან ზაალ და ზეზვაი, —
მათი გმირული ცხოვრება.

ვეფხვები ბახტრიონისა
ეხლაც ჩვენ თვალწინ დგებიან;
შალვა, ელიზბარ, ბიძინა
ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ვსჭვრეტთ: ზეზვა გაფრინდაულსა,
ზაალს, ერისთავს ქსნისასა,
სხედან და ერთად ადგენენ
გეგმას სამშობლოს ხსნისასა.

სხედან და ერთად ჰფიცავენ:
„ჯავრს არ შევირჩენთ მტრისასა;
იმ დოლბანდიან ურჩხულებს
ძალას ვაჩვენებთ ხმლისასა!“

მოუწოდებენ ქუდზე კაცს:
„მოდით, გავწიროთ თავები,
გარს შემოვერტყათ ბახტრიონს
გავულიტოთ უნათლავები.

სანამ ცოცხალვართ ნუ დავთმობთ
სამშობლოს ტურფა ველებსა,
ვანანოთ ქვეყნის შებილწვა
მტრად შემოსეულ ელებსა!“.

შურისძიებით ანთებდა
მთას და ბარს მათი ძახილი,
სასწრაფოდ ილესებოდა
მამულიშვილთა მახვილი...

და აჯანყების დროშასთან
შემოიკრიბნენ ჯარები;
ეკვეთნენ ციხე ბახტრიონს,
შელეწეს რკინის კარები.

მოსპეს ჯალათთა ურდონი,
მტერს დაუბნელეს თვალები.
გამარჯვებასა ჰხარობდნენ
კახეთის ტურფა ქალები.

ზაალი, ქსნის ერისთავი,
ზეზვა, არწივი მთებისა,
შალვა, ელიზბარ, ბიძინა, —
სწორ გახდნენ წმინდანებისა.

იმ მამულიშვილთ ჰბაძავდეს
უნდა ვაჟკაცი ყოველი.
მათი გმირობის ნათელი
დგას როგორც სვეტი ცხოველი.



„მოსე მწერალი“. ბაბალე, სოფონა და ოქრუა.

ნახ. ილ. ახვლედიანისა

ლადო დონაძე

ნ. რიმსკი-კორსაკოვი

1844-1944.

ასმა წელმა განვლო გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის რიმსკი-კორსაკოვის დაბადების დღიდან. საიუბილეო თარიღებს ჩვეულებრივად ისტორიული მოგონების ხასიათი აქვთ, მაგრამ რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედება როდი წარმოადგენს წარსული კულტურის ისეთ ძეგლს, რომელიც მხოლოდ რეტროსპექტიულად იყოს გასაგები. მისი შემოქმედების უდიდესი ნაწილი კვლავ ცოცხალი მემკვიდრეობაა ჩვენთვის. რიმსკი-კორსაკოვის სახელი თანამედროვე მუსიკალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულია არა მარტო პირადი შემოქმედებით და მეთოდიურ-პედაგოგიური შრომებით, არამედ თავისი გამოჩენილი მოწაფეებით და სულიერი მემკვიდრეებით. ყოველი დიდი ხელოვანი განირჩევა ფართო და ღრმა მსოფლმხედველობით, რომლის გარეშე თვით უდიდესი ტექნიკური ოსტატობაც გარეგნული ოინბაზობაა და ხელოსნური დამოკიდებულება ხელოვნებასთან. ასეთ დიდ ხელოვანს წარმოადგენდა რუსულ მუსიკაში რიმსკი-კორსაკოვი. მხოლოდ ერთი თვისება აკავშირებდა რიმსკი-კორსაკოვს თავის ანტიპოდ ჩაიკოვსკისთან და იგივე თვისება ანსხვავებდა მათ თავის დროის თითქმის ყველა დანარჩენ რუს კომპოზიტორებისაგან. ორთავეს კარგად ესმოდათ, რომ მსოფლიო ხელოვანის დონემდე ამაღლება შესაძლებელია არა მარტო პირადი ტალანტისა და შთაგონების შეწევნით, არამედ უდიდესი ტექნიკური დაოსტატებისა და შრომის კულტურის გზით. ღრმა პროფესიონალიზმმა, მტკიცე მეთოდიურმა აზროვნებამ, უმაღლესმა ტექნიკურმა კულტურამ შეაძლებინა რიმსკი-კორსაკოვს გამხდარიყო მეთაური მთელი მიმდინარეობისა და სკოლის, რომელიც სრულიად ღირსეულად მის სახელს ატარებს. იმავე შრომისმოყვარე პროფესიონალიზმს მიეწერება ის გასაოცარი შემოქმედებითი ნაყოფიერება, რომელიც რიმსკი-კორსაკოვმა გამოიჩინა განსაკუთრებით საოპერო მუსიკის დარგში. ამ მხრივ იგი პირველობაში ეცილება თავის კონგენიალურ თანამედროვეს—ჩაიკოვსკის.

რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედებითი გზა, თუმცა პირდაპირი და სწორხაზოვანი ევოლუციის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს, მაგრამ მხატვრული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით მაინც უნდა განვასხვაოთ რიმსკი-კორსაკოვი ორი ეპოქისა. ადრინდელი პერიოდის რიმსკი-კორსაკოვი, როგორც რუს კომპოზიტორთა ე. წ. „მძლავრი ჯგუფის“ ერთ-ერთი ცენტრალური წარმომადგენელი, 60-იან წლების იმ განმანთავისუფლებელი იდეების მღელვარე ატმოსფეროში აღიზარდა, რომელსაც მან თვითონ „იერიშის და ქარიშხლის“ პერიოდი უწოდა რუსულ მუსიკაში. ნაციონალურ-ხალხური და რეალისტური ხელოვნების იდეალის სახელით „მძლავრი ჯგუფის“ ახალგაზრდა ნოვატორები ბალაკირევის მეთაურობით ილაშქრებდნენ კონსერვატიულ-სქოლასტიური მიმართულების წინააღმდეგ ხელოვნებაში, და უსულგულო აკადემიზმის შიშით უფრთხოდნენ სკოლას, ტრადიციებს, პროფესიონალიზმს. მაგრამ ძველის გმობისა და ახლის ძიების სურვილი სახიფათო უკიდურესობის ფორმებს იღებდა მათ ტენდენციებში. „მძლავრი ჯგუფის“ მეამბოხე პროტესტანტები უნიადაგო ნიჰილიზმის საფრთხის წინაშე იდგნენ. მრავალი ღირსების მიუხედავად ბალაკირევის პროგრესიული ჯგუფის ეს თვისება მეტად სახიფათოდ ეჩვენებ[illegible] კორსაკოვს. იგი ერთი პირველთ[illegible] შორის, რომელთაც მტკიც[illegible] მარტოოდენ ბიოლოგიური [illegible] საკმარისია ხელოვანის შემო[illegible] მატებისა და სრულყოფისათვის, მისი მაღალ[illegible]ბით რიმსკი-კორსაკოვის კავში[illegible] მოუდრეკე[illegible] ნამებრძოლებთან თანდათან [illegible] და ბოლოს იგი სავსებით ჩამოსცილდება მათ. შეურიგებელი მებრძოლი—რადიკალი, ზომიერი პოზიტიური მსოფლმხედველობით აღიჭურვება. ოდესღაც აზროვნების სისტემისა და დისციპლინის ურჩი რიმსკი-კორსაკოვი, მკაცრი რაციონალისტი და სისტემატიკოსი ხდება. ამიერიდან უმაღლესი ოსტატობით მოსილი, ფხიზელი და უაღრესად ორგანიზებული გონიერება მუდმივი კონტროლის როლს ასრულებს მის შემოქმედებითს ფანტაზიაში.

თავისი უფროსი თანამედროვეების—ჩაიკოვსკისა და მუსორგსკისაგან განსხვავებით, რიმსკი-კორსაკოვი არ ყოფილა ფსიქოლოგი ან სუბიექტიურად მოაზროვნე ხელოვანი მუსიკაში. მის შემოქმედებაში ამაოდ დავუწყებთ ძებნას ნერვიული დაძაბულობისა და სულიერი შფოთვის მძაფრ დრამატიულ პროცესებს. მათ იქ ვერ ვიპოვით. თუ ჩაიკოვსკი ბუნებაშიც ვერ პოულობდა სულიერ სიმშვიდეს და მთის პეიზაჟსაც კი ერთხელ „ბუნების კონვულსია“ უწოდა—რიმსკი-კორსაკოვი თავის შემოქმედების ტრაგიკულ სიტუაციებშიც არ ჰკარგავს სულიერ წონასწორობას და თვით სიკვდილის შემზარავ სცენებს მშვიდ და ნათელ ტონებში გვიხატავს. რიმსკი-კორსაკოვი ეპიურად იღებს ქვეყანას და მისი პიროვნება დაჩრდილულია თვით ლირიკაშიც, რადგან ლირიკა და ეპოსი აქ ერთმანეთში ისეა შეჭრილი, რომ ძნელია და თითქმის შეუძლებელი ამ ორი საწყისის გათიშვა მთლიანობის დაურღვევლად. რუსეთის ისტორიული მისიის დასაბუთებისათვის, რიმსკი-კორსაკოვი როგორც ღრმად ნაციონალური ხელოვანი-პატრიოტი, შემოქმედებითი შთაგონების წყაროებს ან რუსეთის ისტორიულ წარსულში ეძებს („ფსკოველი ქალი“, „მეფის საცოლე“) ან რუსულ ფოლკლორში („სადკო“, „სნეგუროჩკა“, „მეფე სალტანი).

რიმსკი-კორსაკოვს ჰქონდა გასაოცარი ნიჭი, შორეულ ჟამთა ზღაპრებისა და ლეგენდების სულის განჭვრეტისა. მისი შემოქმედების უდიდესი ნაწილი ზღაპრული თუ ბილინური ეპოსის სტატიკაშია დარჩეული. რუსეთის ძველის-ძველ ეპოსში ეძებდა იგი სლავური კულტურის ორიგინალურ საწყისებს. რიმსკი-კორსაკოვის უაღრესად კოლორიტული მემკვიდრეობის გზით ჩვენს თვალწინ იშლება და იხატება მუსიკალურ ენაზე თარგმნილი რუსეთის ისტორიული თუ ზღაპრული ეპოსის თვალწარმტაცი პანორამა.

თუ თემატიკით და სიუჟეტიკით რიმსკი-კორსაკოვის ქმნილებანი რუსული ხალხური პოეზიიდან მომდინარეობენ, მელოდიური და ჰარმონიული ენით, თვით ფორმისა და ფაქტურის მრავალი ელემენტით იგი ღრმად უკავშირდება რუსულ მუსიკალურ ფოლკლორს. ხალხური სიმღერა კი არ წარმოადგენდა მისთვის მხოლოდ „ნედლ მასალას“. იგი პირდაპირ ამბობს: „ხალხური თემა ჩემთვის ერთგვარი პროგრამაა“. მაგრამ რუსული მუსიკალურ-პოეტური ფოლკლორი და რუსული კლასიკა (გლინკა) ერთ-ერთი მთავარი წყაროა რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედებისა და არა ერთადერთი. მას შემდეგ, რაც რუსული მუსიკალური ხელოვნება გლინკას შეწევნით საერთაშორისო კულტურის სარბიელზე გამოვიდა — მისი შემდგომი განვითარება ორი გზით წარიმართა: განუყრელი კავშირი ხალხურ შემოქმედებასთან და მუდმივი კულტურული ურთიერთობა დასავლეთ ევროპის მოწინავე მუსიკალური ხელოვნების ტრადიციებთან. რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედების სახით ამ ორმა ნაკადმა უდიდესი სინთეტიური განზოგადოება მიიღო.

ფანტასტიკა, ჟანრი, პეიზაჟი რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედების უმთავრესი ელემენტებია. ეს სამი არსებითი თვისება აკავშირებს და აერთიანებს მისი მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგებს — საოპერო, სიმფონიურს და სარომანსო მუსიკას. რიმსკი-კორსაკოვის ფანტასტიკა როდი წარმოადგენს დეკადენტ ხელოვანის ირაციონალურ მისტიურ ზმანებას და მოჩვენებას, იგი არც ჰოფმანისებური ტრანსია რეალურ სამყაროდან ირეალურში. რიმსკი-კორსაკოვის ფანტასტიკა არ იქმნება დუალისტურად გათიშული „ორსართულიანი“ სამყაროს ნიადაგზე, რადგან მისი ფანტასტიკა არსებითად რეალისტურია და ხალხური ზღაპრების წიაღებიდან მომდინარეობს. რიმსკი-კორსაკოვის ლირიკისათვის ერთობ დამახასიათებელია თავისი წარმოშობით ღრმად ხალხური სახე სევდითა და დარდით აღსავსე რუსი ქალისა და ქალწულისა, რომელიც ხდება მსხვერპლი ჩაგვრის, გაუგებრობის, ძალმომრეობის. დაწყებული „ფსკოველი ქალი“-დან (ოლგა) ეს სახე აღბეჭდილია კომპოზიტორის უმრავლეს ოპერებში (პანოჩკა, მლადა, ვოლხოვა, მილიტრისა, მარფა და სხ.). ლეგენდა და ზღაპარი მას ხელს არ უშლიდა რეალური ცხოვრების იდეები აესახა და მართლაც რიმსკი-კორსაკოვის ოპერების ფანტასტიური საბურველი ხშირად გამჭირვალე ნიღაბია, რომლის იქით ამ ქვეყნიური ცხოვრების მოვლენებს ვამჩნევთ. ზღაპრულ-ალეგორიულ ფორმაში რიმსკი-კორსაკოვი სოციალური ცხოვრების პერსპექტივებს გვიხატავს. ხან გესლნარევი იუმორით ჰკილავს ის ფეოდალური მონარქიის სიმახინჯეს („მეფე სალტანი“), ხან რელიგიური ლეგენდის საფარს ქვეშ რუსული პატრიოტიზმის იდეას ანსახიერებს. თუ 905 წლის რევოლუციის კვირაძალში შექმნილი ოპერა „უკვდავი კაშჩეი“ მრისხანე განაჩენია ქვეყნის ბოროტი და ბნელი ძალების მიმართ, უკანასკნელი ოპერა კომპოზიტორისა („ოქროს მამალი“) სატირული გროტესკით გვიხატავს რუსული თვითმპყრობლობის განუსაზღვრელ სიბლაგვეს და სიტლანქეს.

რომანტიული ჭვრეტისა და ოცნების ლირიულ ეპიზოდებს რიმსკი-კორსაკოვის ოპერებში ხშირად ჟანრულ-ყოფაცხოვრებითი სცენები უპირისპირდება. ჟანრისადმი დიდი ინტერესი მის ოპერებში ეჭვი არ არის 60-იანი წლების ნაციონალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ნაკარნახევია. ჟანრის საშუალებით ის ასახავს მშობლიური მხარის სოფლურ ყოფას და ადამიანებს. მასიურ-გუნდურ სცენებს რიმსკი-კორსაკოვის ოპერებში უმთავრესად ჟანრულ-ყოფაცხოვრებითი ხასიათი აქვთ, თვით მისი საორკესტრო შემოქმედების უდიდესი ნაწილი, რომელიც უმთავრესად რაფსოდიული ტიპის სუიტებით განისაზღვრა („ესპანური კაპრიჩიო“, „ბრწყინვალე დღესასწაული“, „შეხერეზადა“) პეიზაჟურ-ჟანრული სიმფონიზმის ფრიად კოლორიტული ნიმუშებია. ადამიანის შინაგან გრძნობათა სტიქიონს ისეთი მძლავრი გამოხატულება არ მიუღია რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედებაში, როგორც გარეგანი ბუნების სტიქიებს. მართალია ბუნების გრძნობა მას პირველს არ აღმოუჩენია რუსულ მუსიკაში, მაგრამ მან პირველმა ბუნების ძალთა გასულიერების გზით პანთეისტური ლირიკის ნაკადი შეიტანა რუსულ მუსიკაში. რიმსკი-კორსაკოვი მუსიკალური პეიზაჟების უბადლო ოსტატია. მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურაში მან ლირიული ჰიმნი უმღერა წელიწადის ყოველ დროს, ბუნების ყველა სტიქიონს, ხოლო ზღვის პეიზაჟებით მოხიბლულ რიმსკი-კორსაკოვს უკვე სიცოცხლეშივე „მუსიკალური აივაზოვსკი“ უწოდეს. ალბად მხედველობაში ჰქონდათ „შეხერეზადა“, ოპერა „სადკო“, (სიმფონიური პოემა და ოპერა) ოპერა „მლადა“, მშვენიერი და მღელვარე ზღვის სურათები „მეფე სალტანში“, რომანსების ციკლი „ზღვასთან“. რიმსკი-კორსაკოვი ბუნებაში „ღვთაებრივ ძალასაც“ შეიგრძნობს. ამ გზით ბუნების გრძნობა ფართოვდება კოსმიურ მასშტაბამდე. მისი ადრინდელი პერიოდის ოპერა „სნეგუროჩკა“ ამ მხრივ ადამიანის მფარველი მზის ნამდვილი პანთეისტური ჰიმნია და სიყვარულის აპოთეოზი ერთსა და იმავე დროს.

ზღაპრულ-ფანტასტიური ოპერების სახელგანთქმული კომპოზიტორი, პეიზაჟისტი და ჟანრისტი რიმსკი-კორსაკოვი „მუსიკალური ფერწერის“ უდიდეს ოსტატად ევლინება რუსულ მუსიკას. მისი მრავალი ქმნილება ფერწერითი სურათების ასოციაციებს იწვევენ. დეკორატიულ-აღწერითი სტილის მუსიკალური პანოების შექმნისათვის მას ხელს უწყობდა უდიდესი კოლორიტული ფანტაზია, ტიპიური ორკესტრალური აზროვნება, რომლის დარგში იგი ჭეშმარიტად სწორუპოვარი ოსტატია რუსულ მუსიკაში. მეორე მხრივ, ფერწერითი შემკულობით, სტილიზაციისა და ესთეტიზაციის მრავალი ნიშნით, ზედმიწევნით სიმეტრიული ფორმებით და მოზაიკური ფაქტურით რიმსკი-კორსაკოვის მრავალი ქმნილება „ორნამენტური პროზის“ ნიმუშებს მოგვაგონებს.

რიმსკი-კორსაკოვის ცნობილი სკოლა განვლო რუსული მუსიკის მრავალმა გამოჩენილმა ოსტატმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. სტრავინსკი, გლაზუნოვი, ლიადოვი, გრეჩანინოვი, ჩერეპნინი, იპოლიტოვ-ივანოვი და სხვ. ამჟამად რიმსკი-კორსაკოვის სკოლის ტრადიციების ყველაზე ერთგული მფარველია საბჭოთა მუსიკაში კომპოზიტორი მ. შტეინბერგი, რომლის სკოლამ აღზარდა მრავალი გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი და ყველაზე უდიდესი მათ შორის დ. შოსტაკოვიჩი.

ქართულ კომპოზიტორთა უფროს თაობაზეც ღრმა კვალით აღიბეჭდა რიმსკი-კორსაკოვის სკოლის ტრადიციები. პირველი ქართველი კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე რიმსკი-კორსაკოვის პირადი მოწაფე იყო. დიდი ქართველი კლასიკოსი ზაქარია ფალიაშვილი „დაისის“ და მეტადრე „ლატავრას“ მუსიკით უთუოდ უკავშირდება რიმსკი-კორსაკოვის სკოლას, ხოლო ცნობილი კომპოზიტორი — განმანათლებელი დიმიტრი არაყიშვილი, როგორც თავისი მოღვაწეობის საერთო სტილით, ისე პირადი შემოქმედებით რიმსკი-კორსაკოვის ტრადიციების ტიპიური გამოვლინებაა ქართულ მუსიკაში.



„განკარგულება“.

ნახ. ილ. ახვლედიანისა



„მოსე მწერალი“.

ნახ. ილ. ახვლედიანისა

გერონტი ქიქოძე

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება

ეგნატე ნინოშვილმა თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა მკაფიოდ გამოხატა ორ პუბლიცისტურ წერილში, რომლებიც მან 1893 წელს „კვალში“ მოათავსა („ძველი დავა ახალ ქერქში“ და „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“). მაგრამ ნინოშვილი ქართველ მკითხველ საზოგადოებაში უფრო ცნობილია როგორც მხატვარი, ვიდრე როგორც მოაზროვნე პუბლიცისტი; თუმცა, როგორც მისი კერძო მიწერ-მოწერიდან სჩანს, ის ბოლო დროს ფიქრობდა სავსებით პუბლიცისტიკაში გადასულიყო. „კვალის“ რედაქტორ-გამომცემელს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას ის სწერდა: „ჩვენს ქვეყანაში აზროვნებას სძინავს და მხოლოდ ხანდახან ბოდვასავით ნაჭერ-ნაწყვეტად წამოიძახებს იმას, რაც უკვე ნახევარი საუკუნეა სააზროვნო არქივში არის გადადებული. ამიტომ საჭიროა რომელიმე სამწერლო ორგანომ ვალად ჩასთვალოს ჩვენს ქვეყანაში აზროვნების გამოფხიზლება“. თავის ბელეტრისტულ ნაწერებშიც ის კისრულობდა არა მარტო მხატვრის, არამედ ბრალმდებლის როლსაც. ის ბრალს სდებს არა მარტო კერძო პირებს, არა მარტო დავით დროიძეებს, ტარიელ მკლავაძეებს, ლევან ძველსენიძეებს ან მოსე მწერლებს, არამედ მთელ თავისდროინდელ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებას და მის ბიუროკრატიულ და პოლიციურ აპარატს.

ეგნატე ნინოშვილის ბელეტრისტულ ნაწერებს შორის მის ისტორიულ რომანს, „ჯანყი გურიაში“, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რომანი დაწერილია წერილობითი წყაროების და ზეპირად გადმოცემული ცნობების დიდი ცოდნით და საუცხოო მასალას წარმოადგენს იმ რთული ურთიერთობის გასაცნობად, რომელშიც გურულების აჯანყება დაიწყო და განვითარდა 1841 წლის გაზაფხულის და ზაფხულის თვეებში. ისტორიული პირების, აჯანყების სამხედრო მეთაურის, ყოფილი ოფიცერის, თავადი ამბაკო შალიკაშვილის, ოსმალეთის აგენტის ჰასანბეგ თავდგირიძის, გლეხთა წინამძღოლების როსტომა მეჯიხურისა, პეტრე მჭედლისა და თოიძის გვერდით ავტორს გამოყვანილი ჰყავს მოგონილი პირები, რომელნიც სრულიად ბუნებრივად თავსდებიან რომანის ჩარჩოებში და არ არღვევენ მის რეალისტურ სტილს.

ავტორი თავისუფალია ყოველი ყალბი რომანტიზაციისაგან და სრულიად დამაჯერებლად ხსნის, როგორც აჯანყების დაწყების, ისე მისი დამარცხების მიზეზებს. როგორც ცნობილია, გურულების აჯანყებას პირველი საბაბი ახალი ფულადი გადასახადის შემოღებამ მისცა. ოსმალეთის აგენტები, ქობულეთის მფლობელის ჰასანბეგ თავდგირიძის მეთაურობით, შეეცადნენ ანტირუსული მიმართულება მიეცათ მოძრაობისათვის და ამ მიზნით კავშირი გააბეს სეპარატისტულად განწყობილი გურული თავადაზნაურობის ელემენტებთან; მაგრამ როდესაც აჯანყებაში გლეხკაცობის ფართო მასები ჩაებნენ, მოძრაობამ სტიქიონურად რევოლუციური ხასიათი მიიღო: გლეხკაცობამ მიზნად დაისახა არა რუსეთიდან გამოთიშვა, არამედ ბატონყმობის მოსპობა. ამას მოჰყვა თავადაზნაურობის განდგომა მოძრაობისაგან: აჯანყებულთ ბოლომდე მხოლოდ ამბაკო შალიკაშვილის მსგავსი უტეხი ვაჟკაცები შერჩნენ.

მაგრამ ეგნატე ნინოშვილი სრულიადაც უნაკლოდ არ სთვლის აჯანყებული გურული გლეხკაცობის ყოფაქცევას. ის დიდი ობიექტურობით გვიხატავს მის პირველ მასობრივ გამოსვლებს, ღამის მიტინგებს, ფიცის მიღებას, ენთუზიაზმს, რომელსაც ის განიცდის გამარჯვების შემთხვევაში, მაგრამ ამასთანავე აგვიწერს გლეხკაცობის დაქსაქსულობასაც, შეუგნებლობასაც, შემარიგებლობასაც, სულმოკლეობასაც.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა რომანში გიორგია. ის — უმემკვიდროდ დარჩენილმა თავადიშვილმა იშვილა და აღზარდა, მას რუსეთში უნივერსიტეტის კურსი აქვს დასრულებული: მან არ იცის, რომ შინამოსამსახურეების „უკანონო შვილია“, თავისი თავი თავისი მამობილის და დედობილის ღვიძლ შვილად მიაჩნია. რუსეთში ყოფნის დროს მას მოწინავე იდეები შეუთვისებია და თავისი აზროვნებით ქართველი ხალხოსნების და დემოკრატების წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. როდესაც გურიის ამბოხების მეთაურები გიორგისთან მიდიან, როგორც განსწავლულ კაცთან, და რჩევას ჰკითხავენ, ის დიდ პოლიტიკურ წინდახედულობას და სიფრთხილეს იჩენს. ის მათ უმტკიცებს, რომ რუსეთიდან გამოთიშვა საქართველოსთვის უდიდესი უბედურება იქნებოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა წინანდებურად ბარბაროსი მეზობლების სათარეშო ასპარეზი გახდებოდა.

როდესაც გიორგის რჩევის და სურვილის წინააღმდეგ აჯანყება იწყება, იგი გადასწყვეტს, რომ მას უფლება არ აქვს გულხელდაკრეფილი იჯდეს, ის მეამბოხეებს ურთდება და ცდილობს „ჯანყის მიზანი შეიცვალოს, ესე იგი ჩვენმა ხალხმა რუსებს კი არ გაუწიოს წინააღმდეგობა, არამედ მონობას ანუ ბატონყმობას“. მას იმედი არ აქვს, რომ აჯანყებული ხალხი გაიმარჯვებს; მაგრამ თუ სასწაული მოხდება და გლეხკაცობა მოწინააღმდეგეს მოერევა, ის ოცნებობს გურიაში რესპუბლიკური მართველობა დააარსოს. ამრიგად გიორგიმ თავდაპირველად სალი პოლიტიკური ალღო გამოიჩინა, მაგრამ შემდეგ პოლიტიკურ რომანტიზმში გადავარდა: ცხადი იყო, რომ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში გურიაში რესპუბლიკური წესწყობილების დამყარებაზე ოცნება მხოლოდ გაუსწორებელ ფანტაზიორს შეეძლო.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თვით გიორგი თავისი იდეალიზმით უფრო ავტორის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს და მის იდუმალ ზრახვებს გამოხატავს, ვიდრე ისტორიულ სინამდვილეში არსებულ ტიპს.

გიორგი ბოლომდე ერთგულებას ინარჩუნებს აჯანყებული ხალხისადმი, ხოლო როდესაც აჯანყება მარცხდება და გურიაში რეპრესიები იწყება, ის ოსმალეთში გადაიხვეწება; მას რუსეთიდან შეგზავნილ პოლიტიკურ ჯაშუშად მიიღებენ და თავს მოსჭრიან კონსტანტინოპოლის მოედანზე.

თავის პატარა მოთხრობებში („გოგია უიშვილი“, „უცნაური სენი“, „პალიასტომის ტბა“, „არშიყნი“, „განკარგულება“, „პარტახი“), ეგნატე ნინოშვილი გურიის სოფლის პირქუშ სურათებს იძლევა; ეს მოთხრობები გამოუკლებლივ ტრაგიკულად მთავრდებიან. გოგია უიშვილის ტრაგედიას განსაკუთრებით ის გარემოება ამძაფრებს, რომ მისი ოჯახის დაწიოკება ახალი წლის წინა დღით ხდება, როდესაც ის ოცნებობდა ჩიჩილაკით და გაწყობილი ხონჩით შეხვედროდა ტრადიციულ კალანდას. ის ვერ იტანს თავმოყვარეობის შელახვას, საჯაროდ გაროზგვას სოფლის სამართველოს ეზოში და შინ დაბრუნების შემდეგ თავს იკლავს; ამას მოსდევს მისი ცოლის ჭკუაზე შეშლა და მისი კარმიდამოს გავერანება.

მხატვრული თვალსაზრისით „პალიასტომის ტბა“ ნინოშვილის ერთერთ საუკეთესო მოთხრობად შეიძლება ჩაითვალოს. აქ დიდი დამაჯერებლობითაა გადმოცემული ნახევრად გაპროლეტარებული გლეხის და მისი ვაჟის ბრძოლა არსებობისათვის, მათი უმწეობა გამძვინვარებული წყლის სტიქიონის წინაშე, მათი დაღუპვა პალიასტომის ტბაზე, ბოლოს, ბუნების გულგრილობა ამ თავისებური მსხვერპლათ შეწირვის შემდეგ.

„სიმონა“ სოციალური პრობლემისადმი მიძღვნილი მოთხრობაა. ამ მოთხრობაში ეგნატე ნინოშვილმა დაგვანახვა ის დანაწილება, რომელიც გურიის გლეხკაცობაში მოხდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. თუმცა დავით დროიძე წარმოშობით გლეხია, მაგრამ კაკლის ხის და სიმინდის ვაჭრობით, მას მოზრდილი თანხა შეუძენია, ქრთამის შემწეობით სასულიერო წოდების კაცად ჩაწერილა, ხოლო თავის ვაჟიშვილებისათვის ცხოვრების ახალი გზები უჩვენებია: სამი მათგანი ვაჭარი გამხდარა, ერთი პოლიციის მოხელე, ერთიც ოფიცერი. ამრიგად დავით დროიძის ოჯახი თითქო ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიული კლასის უჯრედს წარმოადგენს. მაგრამ ეს უჯრედი არ არის ჯანსაღი, ამ კლასს საქართველოში ისეთი საიმედო მომავალი არ აქვს, როგორიც ევროპის ბურჟუაზიას ჰქონდა მისი ახალგაზრდობის ასაკში. ნინოშვილის შეხედულებით ქართველი ბურჟუაზია უპერსპექტივო სოციალური ძალაა, ის ჩანასახშივე იშლება ზნეობრივად.

დავით დროიძის უფროსი ვაჟიშვილი, რომელსაც დიდი სავაჭრო ჰქონდა ქალაქში, გაკოტრდება, ვალებში ჩავარდება და გალოთდება, მისი ცოლი სხვა, უფრო ბედნიერი კომერსანტის საყვარელი გახდება. მეორე ვაჟიშვილს ყალბი ქაღალდის შედგენისათვის ციმბირში გაგზავნიან, ხოლო მესამეს—ტიტიკო დროიძეს, ყაჩაღად გადავარდნილი სიმონა მოჰკლავს თავისი ცოლის გაუპატიურებისათვის. და მარტოდ მარტო დარჩენილი დავით დროიძე სიბერეში იძულებული გახდება თოხით ირჩინოს თავი.

„სიმონაში“ ავტორმა აგრეთვე დაგვანახა, რომ ყაჩაღად გადავარდნას გურიაში ღრმა სოციალური მიზეზები ჰქონდა. ის ყაჩაღები, რომელთაც ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში თავიანთი ვაჟკაცობით გურიაში სახელი გაითქვეს, უბრალო მძარცველები და კაცისმკვლელები როდი ყოფილან; ისინი, უმეტეს შემთხვევაში, სოციალური უსამართლობის და ძალმომრეობის მსხვერპლი იყვნენ და, რადგან სხვანაირად პროტესტის გამოცხადება არ შეეძლოთ, ყაჩაღთა რაზმებს ადგენდნენ, რათა შური ეძიათ თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ამიტომ ხალხი მათ იფარავდა მთავრობის აგენტებისაგან, ხოლო როდესაც ისინი იღუპებოდნენ, ლექსებს უძღვნიდა მათს ხსოვნას. ისინი არსენა ოძელაშვილის მემკვიდრეები და შეგნებული რევოლუციონერი გლეხების წინამორბედები იყვნენ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეგნატე ნინოშვილი არც ამ მოთხრობაში ახდენს ხალხის ყალბ იდეალიზაციას. თუ სიმონას, სრულიად უსამართლოდ, რამდენჯერმე იჭერენ და ციხეში ამწყვდევენ, ამაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დავით დროიძეს, რომელსაც ეშინია დამოუკიდებელი, ამაყი, გულფიცხი ახალგაზრდა მეზობლისა; ამაში ბრალი მიუძღვის სოფლელებსაც, რომელნიც სულმოკლედ ყველაფერში დავითს ეთანხმებიან, სანამ ის ძლიერი და გავლენიანია, ხოლო როდესაც ის ღარიბდება და მარტოვდება, მას თავის დაკვრის ღირსადაც არ სცნობენ.

„ქრისტინეში“ აღნიშნულია ის უარყოფითი ზნეობრივი გავლენა, რომელსაც ქალაქი ხშირად სოფელზე ახდენდა რევოლუციის წინაპერიოდში. ამ მოთხრობის პირველი ნაწილი მაინცდამაინც ორიგინალურად ვერ ჩაითვლება: გამოუცდელი და ანდობილი ახალგაზრდა ქალის შეცდენა უქმი და გალაზღანდარებული ყმაწვილი კაცის მიერ, მისი მიტოვება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვითურთ, ტრადიციულად მოაზროვნე დედმამის შერისხვა—ყოველივე ეს მრავალჯერ დამუშავებული თემის მხოლოდ ვარიანტს წარმოადგენს. თავის თავად არც ის არის მოულოდნელი და საერთაშორისო ლიტერატურის მიერ გამოუყენებელი ამბავი, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალი პროსტიტუციის გზას ადგება. შორს რომ არ წავიდეთ, ილია ჭავჭავაძემ თავის „გლახის ნაამბობში“ ქრისტინეს მსგავსი ქალის ტიპი მოგვცა თამროს სახით. მაგრამ ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში როსკიპი ქალი მოჩვენებასავით გაიქროლებს მკითხველის თვალის წინ, ეგნატე ნინოშვილი კი მთელს იმ გზას გვიჩვენებს, რომელსაც საყვარლის მიერ მიტოვებული ქალი გლეხის ქოხიდან ქალაქის საროსკიპოში მიჰყავს, საროსკიპოდან საავადმყოფოში, ხოლო საავადმყოფოდან ქუჩაში; და ავტორი გვაჩვენებს იმ ზნეობრივ კრიზისსაც, რომელიც ახალგაზრდა ქალის სულში ხდება.

„ჩვენი ქვეყნის რაინდში“, ტარიელ მკლავაძის სახით, ეგნატე ნინოშვილმა ერთ-ერთი უნამდვილესი ტიპი დაგვიხატა. მართალია, უსაქმობით, ფიზიკური სილამაზით, ქალებზე ნადირობის სიყვარულით მას „ქრისტინეს“ გმირები ლევან ძველსენიძე და იასონ უქმაძეც ჰგვანან და „სიმონას“ გმირი ტიტიკო დროიძეც, მაგრამ ტარიელ მკლავაძე მაინც ყველაზე დამთავრებული წარმომადგენელია ფიზიკურად სალი, ხოლო ზნეობრივად გადაგვარებული ქართველი პროვინციული თავადაზნაურობისა.

ისევე როგორც ეგნატე ნინოშვილის სხვა მოთხრობებში მოქმედი ქალები სპირიდონ მცირიშვილის ცოლი დესპინეც მკრთალადაა მოხაზული. როგორც ეტყობა, ავტორი ქალების საზოგადოებას უფრო სუსტად იცნობდა, ვიდრე მამაკაცებისას და მისი დარიკოები, მანები და დესპინეები ერთმანეთს ჰგვანან ტყუპად დაბადებული დებივით: ისინი თითქმის ყველანი ძალიან ახალგაზრდები, ლამაზები და სათნოებით აღსავსენი არიან, მხოლოდ ზოგიერთს შავი თვალები აქვს, ზოგიერთს ცისფერი და ზოგიერთს კიდევ თაფლისფერი. გამონაკლისს მხოლოდ ქრისტინე წარმოადგენს თავისი განსაკუთრებული ბედით და სულიერი განცდებით.

რკინის გზა თავისი სადგურით, ზვავის მიერ გაფუჭებული ლიანდაგით და დაგვიანებული მატარებლით საზედისწერო როლს ასრულებს ამ მოთხრობის სიუჟეტის განვითარებაში. ქართულ ლიტერატურაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ბელეტრისტულ ნაწარმოებში უპიროვნო ტექნიკური ძალა გამოსულიყოს ადამიანების გვერდით. თვით ეგნატე ნინოშვილის პატარა მოთხრობის „განკარგულების“ გმირი კაცია მუნჯაძე მხოლოდ იმიტომ დაიღუპა, რომ მან დაღლილობას ვერ დასძლია, რკინის გზის ლიანდაგზე დასდო თავი და მატარებლის მსხვერპლი გახდა. ნაკლებ აქტიურ როლს ასრულებს რკინის გზა გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯში“, მაგრამ შეიძლება ამ რომანს, რომლის ხელნაწერი ავტორს ეგნატე ნინოშვილისთვის წაუკითხავს, დაბეჭდვამდე მასზე ერთგვარი გავლენა მოეხდინოს: ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იერემია წარბა რამდენიმედ ტარიელ მკლავაძის პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს.

გიორგი წერეთლის „რუხ მგელში“ გამოყვანილი სოფლის ადვოკატის სამსონ ჯიბიაშვილის პარალელს წარმოადგენს აგრეთვე ეგნატე ნინოშვილის მოსე მწერალი. მაგრამ აქ სწორედ უფრო პარალელზე შეიძლება ლაპარაკი, ვიდრე საკუთრივ ლიტერატურულ გავლენაზე. ორივე მწერალმა, ერთმანეთთან ახლო მდგომარეებმა მსოფლმხედველობით და ლიტერატურული მიმართულებით, ერთი და იმავე მეტად გავრცელებული საზოგადოებრივი ტიპის სხვადასხვა ვარიანტი ასახა. ორივემ დაგვანახვა რა ზიანის მოტანა შეუძლიათ საზოგადოებისათვის ზერელედ განათლებულ ადამიანებს, რომელთა მადა უხეიროდ დაყენებულ დაბალ თუ საშუალო სკოლას გაუძლიერებია, მაგრამ სამაგიეროდ სინდისის ხმა სრულიად დაუდუმებია.

მოსე მწერალი ყველაზე უარყოფითი სახეა ეგნატე ნინოშვილის მიერ შექმნილ გალერეაში. ის უფრო ანტიპატიურ შთაბეჭდილებას ახდენს ვიდრე ტარიელ მკლავაძე ან დავით დროიძე: ანგარების კარნახით, რაღაც ხუთი თუმნის გულისთვის ის თავის კლიენტების გულუბრყვილობას იყენებს და რამდენიმე კაცს ღუპავს. ხოლო ის გარემოება, რომ მოსე მწერალი თავისი გაიძვერობით და უტიფრობით თავის თავს გადარჩენას ახერხებს კატორღისაგან, მკითხველს კიდევ უფრო ამხედრებს მის წინააღმდეგ.

„მოსე მწერალში“ ეგნატე ნინოშვილი განსაკუთრებით ვნებიანად გამოვიდა თავისი დროის საზოგადოების მამხილებლის როლში. როგორც თვით მოსე მწერალი, ისე ბოროტი და შურიანი ბაგრატა ქერაძე, რომლის დასმენით უნათლოშვილები იღუპებიან, წარმოშობით გლეხები არიან. მხოლოდ მოსე მწერალი ზნეობრივად ყალბ განათლებას გაუხრწნია, ბაგრატა ქერაძე კი კერძო საკუთრების კულტს.

ეგნატე ნინოშვილს ხშირად უსაყვედურებდნენ, რომ ის თითქო ობიექტური მხატვრის როლს ივიწყებდა და მამხილებელი პუბლიცისტიკისკენ იხრებოდა. ეს საყვედური არ იყო სავსებით მართებული. მუდმივი გაჭირვების გამო მას არ შეეძლო თავისი ნაწერებისათვის მხატვრულად დასრულებული ფორმა მიეცა. და თვითონაც ხშირად თავმდაბლად აღიარებდა, რომ მის მოთხრობებს შესწორება სჭირდებოდა. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ თავის მოთხრობებში ის მიზნად არ ისახავდა მარტოოდენ ესთეტიკური სიამოვნება მიენიჭებინა მკითხველისათვის. ის ცდილობდა ჰუმანური ინსტიქტები გაეღვიძებინა თავის დროინდელ საზოგადოებაში, სიბრალულის გრძნობა გამოეწვია უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანისადმი და ამ მიზანს მართლაც აღწევდა თავისი ზნეობრივი პატიოსნებით, სიმართლის სიყვარულით და მიუდგომლობით, რომელიც შორს იყო ცივი ოლიმპიელის გულგრილობისაგან.

(„ლიტ. და ხელოვნ.“ მე-2 გვ.)

1894—ეგნატე ნინოშვილი—1944

სერგო ჭილაია

ეგ. ნინოშვილის შემოქმედების ევოლუცია

ეგნატე ნინოშვილის უახლოესი მეგობარი, თ. ხუსკივაძე თავის საინტერესო მოგონებაში სწერს:

„ეგნატე იჯდა და რაღაცას სწერდა, მივედი და ვკითხე: რას სწერ ეგნატე?

— მოთხრობას.

— სახელი?

— ჯერ არ მომინახავს.

— როცა მონათლავ, რას დაარქმევ?

— ქრისტინეს.

— აბა, ჰა! ალბათ სულ სიყვარულზე იქნება აქარგული შენი მოთხრობა?

— ჰო, როგორ არა, სიყვარულიც ბევრია, მაგრამ სიმწარე კი უფრო მეტი".

ეს უკანასკნელი სიტყვები შეიძლება ითქვას არა მარტო „ქრისტინეს", არამედ ნინოშვილის მოთხრობის შესახებ. მთელი შემოქმედება მწერლისა ეს იყო უკულმართი ცხოვრებისაგან გამწარებულ ადამიანთა მხატვრული ისტორია. ყოველი სტრიქონი მწერლისა ადამიანის ტანჯვაზე, უბედურებაზე და დამცირებაზე გვესაუბრება. ნინოშვილს მთელი გულით უყვარდა ეს გამწარებული ადამიანები, სწუხდა მათი ტანჯვით, მათი სიხარულით ხარობდა. მწერალი პირად ცხოვრებაში ისევე უბედური იყო, როგორც მისი გმირები. ამიტომაც იყო, რომ ასე მძაფრად განიცდიდა თავის გმირთა შეურაცხყოფას და უუფლებობას.

ასოთამწყობი ვ. მგელაძე თავის მოგონებაში სწერს: „ერთ დილას, როცა ზამთრის სუსხიანი დღე ყველაფერს ყინავდა, „ივერიის" რედაქციაში შემოვიდა ერთი გამხდარი, ცხვირგათხელებული, თვალებჩავარდნილი, საზაფხულო დაგლეჯილ პალტოში გახვეული კაცი და მორიდებით რაღაცაზე ლაპარაკი დაიწყო...

მე ყურებს ვერ დავუჯერე, — დასძენს ავტორი, — როცა გავიგე, რომ ეს თვითონ ნინოშვილი იყო. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: „სიმონასა" და „ქრისტინეს" ავტორი დაგლეჯილ ტანისამოსით რავა იქნება? ეს მართლა ნინოშვილია? გაუბედავად შევცქეროდი ნინოშვილს, რომელსაც გამხდარი თითებით კალამი ეჭირა და „ქრისტინეს" კორექტურას ასწორებდა", („ჩვენი აზრი", № 22, 1909 წ.).

სულ სხვაა გარეშე მაყურებლის თვალით დანახული ქვეყანა, და სულ სხვაა უშუალოდ განცდილისა და ნაგრძნობის გადმოცემა და აღწერა. ნინოშვილის, როგორც მწერლის, დიდი ღირსება ისიც არის, რომ მისი ნაწარმოები აგვიწერს იმას, რაც გულით შეიგრძნო და განიცადა ამ ადამიანმა, თავისი გმირების ბედის მონაწილემ.

მრავალი მოგონების ავტორი აღნიშნავს, რომ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების ძირითადი პერსონაჟები, მწერლის ნაცნობები და მეზობლები ყოფილან. ეს კონკრეტული ადამიანები შემდეგ ნინოშვილს ხორცშესხმულ ლიტერატურულ ტიპებად უქცევია. ნინოშვილის მოთხრობების სიუჟეტს საფუძვლად ყოველთვის რეალურად მომხდარი ფაქტი დაედება. მაგრამ ის გარემოება, რომ ნინოშვილის პერსონაჟებს პროტოტიპები ჰყავდათ სრულიადაც არ ნიშნავს თითქოს ნინოშვილის ნაწერები სინამდვილის უბრალო ფოტოგრაფიული გადმოცემა იყოს. სინამდვილის მოვლენების, ცოცხალი ფაქტების დალაგებასა, მხატვრულ სისტემატიზაციასა და აღწერაში მჟღავნდება ნიჭიერი ბელეტრისტი, რომელსაც რთული და მრავალფეროვანი სურათებით შემოჰყავს ნაწარმოებში თავისი ნაცნობი გმირები.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების მთავარი თემა სოფლის ყოფა, გლეხკაცის ცხოვრება იყო. მისი მოთხრობების მთავარი პერსონაჟებიც უუფლებო, ღარიბ-ღატაკი გლეხკაცობის წარმომადგენლები არიან: კაცია მუნჯაძეს, გოგია უიშვილს, სიმონა ძალაძეს და სხვებს გარეგნულად ერთნაირი იერი დაჰკრავთ, ისინი მსგავსი სოციალური ბიოგრაფიით არიან წარმოდგენილნი, მაგრამ თითოეული მათგანი სრულიად განსხვავებული ინდივიდუალური ფსიქოლოგიით სცოცხლობს. მათ საკუთარი ფსიქოლოგიური მეობა გააჩნიათ. კაცია მუნჯაძის თვინიერი ხასიათი არსებითად განსხვავდება უსამართლობისაგან გაბოროტებული პროტესტანტი გოგია უიშვილის ხასიათისაგან. სრულიად თავისებური სახეა დაკვირვებული, დინჯი და გამჭრიახი ივანე, რომელმაც იცის გლეხკაცობის სუსტი მხარე. „ყაზახს ყოლი კაცი მოატყუებს. — ამბობს ის — ყაზახმა რომ ერთი პირი იცოდეს და ერთმანეთის მხარის მიცემა"... ივანეს გულის სიღრმიდან წარმოთქმული ეს სიტყვები გვიხატავენ იმ დროინდელი გლეხკაცის შეგნების განსაზღვრულობას, მაგრამ აქ სჩანს მათი გამჭრიახი ინტუიციაც; სჩანს მათი ნატვრაც იმ დროზე როცა, მშრომელები ერთმანეთს მხარში ამოუდგებიან და დაირაზმებიან. ეგნატე ნინოშვილის გმირები ილუპებიან უთანასწორო ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ისინი ეცემიან, მაგრამ ნინოშვილი ყველგან უნარჩუნებს მათ ერთგვარ პერსპექტივას, გამარჯვების რწმენას.

ეგნატე ნინოშვილის მსოფლმხედველობის გამომუშავებაში დიდი როლი ითამაშა გურიის გლეხკაცის ცხოვრების ცოდნამ, იმ შთაბეჭდილებამ, რომელიც მწერალმა მიიღო, როგორც ამ წრის ღვიძლმა შვილმა, მაგრამ არა ნაკლები გავლენა ჰქონდა ნინოშვილის მსოფლმხედველობის გამომუშავებაზე ინტელიგენციის წრეს, რომელშიაც ის მოხვდა. ეს ჯგუფი შემდეგ „მესამე დასის" სახელით გახდა ცნობილი. ამ ჯგუფის დახმარებით ეგნატე ნინოშვილი ევროპაში გაემგზავრა. მწერლის ინტელექტუალურ მომწიფებაზე ევროპაში გატარებულ რამდენიმე თვეს უდიდესი გავლენა ჰქონდა. პირველად მან აქ განიცადა დემოკრატიული იდეების გავლენა. თვითონ ეგნატე ნინოშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის მიერ ევროპაში გატარებულ დღეებს. ერთ მეგობარს იგი სწერდა: „ოჰ რომ იცოდე აქაური განათლების ამბავი! აქ რომ ვსწავლობდეთ, ჩვენი თვალები ისე განათდება, რომ მტერს მტერად გვაცნობებიებს და მოყვარეს მოყვრად. ეხლა ჯერ კი ვერცერთს ვერ ვხედავთ. სიბნელის ფარდა გვახვევია თავზე და გვეხვევა კიდეც თუ აქაურმა სუფთა ახალმა ჰაერმა არ გარეკა ჩვენი თავიდან ეს ბნელი ბურუსი". ეგ ნინოშვილი ევროპიდან ექვსი თვის შემდეგ დაბრუნდა. ევროპული განათლების და დემოკრატიული იდეების გავლენის აშკარა კვალი მოსჩანს ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტურ წერილში, რომელიც მან ევროპიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა. („ძველი დავა ახალ ქერქში"). ამ წერილის შესახებ ეგნატე ნინოშვილი გიორგი წერეთელს სწერდა: „სტატიაში გამოყენებული ციტატები ამოღებულია ერთი ნაწილი ჩერნიშევსკის „სოვრემენიკიდან", ხოლო მეორე ფრანგული ციტატა ამოღებულია ფრანგული სოციალ-დემოკრატიულ გაზეთიდან, საქმე ის არის, რომ ეს ციტატები უნდა გავაპაროთ ცენზორს". ამავე წერილში ეგნატე ნინოშვილი იყენებს მარქსის ციტატებს და მარქსის დებულებებს. ეგნატე ნინოშვილი ერთი პირველთაგანი გაეცნო მარქსიზმის იდეებს, გაიზიარა ეს რევოლუციური მსოფლმხედველობა, თუმცა მან თავის ხანმოკლე ცხოვრებაში ვერ მოასწრო გამხდარიყო მარქსისტული მსოფლმხედველობის მწერალი.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების თემატიკა მართალია ძირითადად სოფლის ყოფამ განსაზღვრა, მაგრამ ერთფეროვანი ამ მხრივ იგი მაინც არ ყოფილა. ნინოშვილის შემოქმედების თემატიკაში მამოძრავებელი ძალა ყველგან კლასთა ბრძოლის ისტორიაა. ეგნატე ნინოშვილი სოციალური კონტრასტების მძაფრი მწერალია. ამ მხრივ ქართული პროზის შესანიშნავ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს „ჩვენი ქვეყნის რაინდი". ამ ნაწარმოებში მთელი სისრულითაა ასახული მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართული ყოფის უტყუარი სახე. აქ ორი სოციალური წრე მოსჩანს: ერთის მხრივ გადაშენების გზაზე შემდგარი ქართული თავადაზნაურობა, რომელსაც ძველებური ღარდიმანდობა და ფიზიკური უპირატესობა შეუნარჩუნებია, მეორეს მხრივ მშრომელთა წრე. სწორედ ამ უკანასკნელის წარმომადგენელია სპირიდონ მცირიშვილი. ნინოშვილმა მძაფრი პოეტური ფერებით და უდიდესი მხატვრული ზომიერების ტაქტით გადმოგვცა ამ ორი ძალის მწვავე კონფლიქტი. ამ ნაწარმოებში ყველაზე უფრო საინტერესოა მაინც სპირიდონ მცირიშვილის მხატვრული სახე. მართალია ამ მხრივ მას წინამორბედებიც ჰყავდა (ხალხოსანი ინტელიგენტის ტიპი), მაგრამ სპირიდონი მათზე გაცილებით წინ წასულა. ის ევროპულ და რუსული მოწინავე იდეების გავლენასაც უფრო მძლავრად განიცდის. ჩვენ გვგონია, რომ სპირიდონ მცირიშვილის შეხედულებებში ნინოშვილი თავის დემოკრატიულ-რევოლუციურ იდეებს ამჟღავნებს. უდაოდ სპირიდონ მცირიშვილი ავტო-ბიოგრაფიული სახეა მწერლისა და ამას არც მალავდა ნინოშვილი.

როცა ერთ-ერთმა ნაცნობმა ეგ. ნინოშვილს მისწერა, რომ სპირიდონ მცირიშვილი თვით მოთხრობის ავტორს ჰგავსო, ეგნატე უპასუხებდა: „მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით, ისე კი მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზეო". თუ აქ ავტორულ მოკრძალებას ანგარიშს გავუწევთ, მაშინ უდავოა, რომ ნინოშვილი სავსებით იზიარებს მეგობრის აზრს და ჩვენ, უფლება არა გვაქვს ავტორს არ დავეთანხმოთ.

ეგნატე ნინოშვილმა ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა. მთელი მისი სამწერლო მოღვაწეობა ხუთი წლით განისაზღვრება. ასეთი მოკლე დრო მწერლისათვის მცირეა, მით უფრო პროზაიკოსისათვის. მაგრამ ამ მოკლე ხანში ძალიან ბევრი გააკეთა ნინოშვილმა, მან საინტერესო შემოქმედებითი ევოლუციის გზა გაიარა და ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ ეგნატე ნინოშვილმა სიკვდილის წინა წლებში მუშათა კლასის ცხოვრების თემას მოჰკიდა ხელი. ნინოშვილის ერთი დაუმთავრებელი მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც შემდეგ ს. ხუნდაძემ „მუშათა თავშესაფარი" უწოდა, ამტკიცებს ნინოშვილის შემოქმედების მხატვრულ ევოლუციასაც და მის მსოფლმხედველობრივ განვითარებასაც მარქსისტული შეხედულებების გზით. მაგრამ როგორც უკვე ვსთქვით ნინოშვილი ამ მხრივ ბოლომდე არ მისულა.

ნინოშვილი ძალზე ადრე დაიღუპა, ერთი მისი მეგობარი ამიტომ გულისტკივილით მოგვითხრობს მწერლის სიკვდილის წინადღეების შესახებ: „მუდამ შრომასა და მუშაობას დაჩვეული, ის დრო გამოშვებით წამოვარდებოდა ლოგინიდან და ცდილობდა დაწყებული შრომის გაგრძელებას: აკანკალებული ხელიდან კალამი უსხლტებოდა და გაშმაგებული, თვალცრემლიანი ლოგინად ეცემოდა: „ვკვდები, ვკვდები, ამბობდა შემაძრწუნებელი ქვითინით, ვკვდები იმ დროს, როცა ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი, როცა ჩემი მომავლის მოქმედების პროგრამა უფრო ნათლად გამოვარკვიე".

ეგნატე ნინოშვილი იყო დიდი პატრიოტი თავის ქვეყნის. იგი მთელი არსებით განიცდიდა თავისი ხალხის მძიმე განსაცდელს. იგი მღელვარებით შესცქეროდა თავის ქვეყნის მომავალს და ნათელ კონტურებით ეხატებოდა ხალხის გამარჯვება. ეს იყო მისი ნათელი რწმენა. ნინოშვილის ოცნებას ნამდვილად ხორცი შეესხა ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ქვეყანაში და ჩვენი მადლიერი ხალხი სიყვარულით იგონებს თავის შესანიშნავ მწერალს.



„ქრისტინე". ქრისტინე და იასონი.
ნახ. ირ. თოიძისა;

მწერლის ცხოვრების გზა

ეგნატე ნინოშვილი 1859 წელს დაიბადა გურიაში, სოფელ ჩიორგვეთში, ღარიბი გლეხის თომა ინგოროყვას ოჯახში. დედით ნაადრევად დაობლებული, სათუთი სულის და ნაზი აგებულების ეგნატე შვიდი წლის იქნებოდა, როდესაც წერა-კითხვის მცოდნე მამიდამ, ძველი ჩვეულების თანახმად, ეზოს მახლობლად მიმდინარე რუსთან მიიყვანა, ფეხები წყალში ჩაადგმევინა და ხელში ქაღალდის ნაფლეთზე დაწერილი ანბანი მისცა, რათა „წყალივით წერა-კითხვა ესწავლა". შემდეგ მან ცოტა ხანი სოფლის მღვდლის ოჯახში დაჰყო, სადაც ხუცური ანბანი ისწავლა, ხოლო თორმეტი წლის ასაკში სოფლის პირველდაწყებითს სასწავლებელში შევიდა.

იმის მიუხედავად, რომ სწავლის საქმე ამ სკოლაში ცუდად იყო დაყენებული და ეგნატე წიგნების კითხვას მხოლოდ იმ დროს ანდომებდა, რომელიც მას ყანაში მუშაობის დასრულების ან შინაური საქონლის მორეკის შემდეგ რჩებოდა, ის მაინც კარგად მოემზადა და 1875 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ჩააბარა მისაღები გამოცდა. საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. მის გარშემო თავი მოიყარეს პროტესტანტული სულით გამსჭვალულმა ამხანაგებმა, რომელთა შორის სილიბისტრო ჯიბლაძე ერია, და დაუახლოვდნენ მოწინავე, დემოკრატიულად მოაზროვნე მასწავლებლებს. მათ მასწავლებელ ივანე ლიაძის ხელმძღვანელობით ბრძოლა გამოუცხადეს სასწავლებლის ადმინისტრაციას, რომელსაც კონსერვატორულად განწყობილი დეკანოზი სვიმონ ქიქოძე მეთაურობდა. ამ ბრძოლაში ეგნატე ინგოროყვამ გამოიჩინა უკომპრომისობა, რომელიც მას შემდეგ მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ახასიათებდა. ის დათხოვნილ იქნა სასწავლებლიდან მოწმობით, რომელიც მას სხვა სკოლაში შესვლას უკრძალავდა.

ამის შემდეგ ეგნატე ნინოშვილს აღარ მოუსვენია სიკვდილამდე; მთელი თავისი სიცოცხლე ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლაში და სამუშაოს ძებნაში გაატარა. ცოტა ხანს მასწავლებლად მსახურობდა თავის თემის სოფლის სკოლაში. შემდეგ სამიოდე წლის განმავლობაში რკინიგზაზე მუშაობდა, როგორც ტელეგრაფისტი. 1885 წელს თბილისში ჩამოვიდა და ასოთამწყობად დადგა კერძო სტამბაში, სადაც ხელფასად შვიდ კაპიკს აძლევდნენ დღეში.

შემდგომ წელს იგი გურიაში დაბრუნდა და ცოტა ხნით სოფლის სამმართველოში შევიდა მწერლად. მისი დიდი ხნის ოცნებას დასავლეთ ევროპაში გამგზავრება შეადგენდა, რათა იქ დასრულებული განათლება მიეღო და უცხო ქვეყნის წესწყობილებას და ყოფაცხოვრებას გაცნობოდა. მეგობრებმა გროშობით პატარა თანხა შეუგროვეს და საფრანგეთში გაისტუმრეს. სამ-ოთხი თვე მონპელიეში გაატარა დიდს გაჭირვებასა და ფიზიკური სამუშაოს ამაო ძებნაში.

უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეგნატე ნინოშვილი ერთს წელიწადს ოზურგეთში მდივნად მსახურობდა თავად გრიგოლ დადიანთან, რომელსაც თავის სასახლეში მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონდა, სადაც ძველი ქართული ხელნაწერებიც მოიპოვებოდა. ამავე ხანას ეკუთვნის ეგნატე ნინოშვილის გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე; 1887 წლის აგვისტოში ის სახუმარო ფელეტონს ათავსებს გაზეთ „ივერიაში".

ამის შემდეგ ეგნატე ნინოშვილს ხელიდან კალამი არ გაუგდია; ცხოვრების პირობების და ჯანმრთელობის გაუარესების მიუხედავად. მან საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში ყოფნისა და საზოგადოების სხვადასხვა წრეში ტრიალის წყალობით დიდი გამოცდილება შეიძინა, მაგრამ ეს შენაძენი მეტად ძვირად დაუჯდა. ერთხანს ბათუმის ნავსადგურში მუშაობდა ტვირთის მზიდველად, შემდეგ ნავთის ქარხნებში მსახურობდა უბრალო მუშად. გიორგი წერეთლის მოწმობით „იგი ხან ზურგით ფიცრებს ეზიდებოდა, ხან ნავთის ყუთების ქარხანაში მუშაობდა და ხშირად ხელის თითებში სისხლი სდიოდა".

შედარებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდა ეგნატე ნინოშვილი ჭიათურაში, სადაც ის შავი ქვის მწარმოებელმა ნიკო ლოლობერიძემ მიიწვია თავისი კანტორის გამგედ. მართალია, მას მეტად რთული და პასუხსაგები საქმის გაძღოლა უხდებოდა, მაგრამ მაინც მოცალეობას პოულობდა, რათა ლიტერატურული მუშაობა განეგრძო.

ნაცნობები, მეგობრები და ამხანაგები ეგნატეს ყოველთვის დიდად აფასებდნენ მისი ზნეობრივი სიფაქიზისა და პრინციპულობისათვის. მისმა დაუდგომლობამ თანდათან უფრო იმატა. ჭიათურიდან ის ჩქარა საფილოქსერო დასში შევიდა და დაღისტნის აღმოსავლეთი ნაწილი და ლეჩხუმი მოიარა. შემდეგ ის ცოტა ხანს თბილისში ცხოვრობდა. აქედან ბათუმში გადავიდა და ნავთის ქარხანაში შევიდა უფროს მუშად, ხოლო იქიდან ჩქარა ზესტაფონში გაემგზავრა, საიდანაც დეპეშის სტილით დაწერილ წერილში სიყვარული გამოუცხადა ახალგაზრდა გურულ ქალს, რომლისაგანაც უარი მიიღო. ხელახლა ნიკო ლოლობერიძის ფირმას დაუბრუნდა და მისი კანტორის გამგე გახდა გომის სადგურში; მაგრამ აქაც დიდ ხანს ვერ გასძლო და შემდეგ ერთხანს თბილისში ცხოვრობდა, ხოლო ბოლოს, ჭლექით მძიმედ დასნეულებული, თავის სოფელში დაბინავდა.

მისი მოთხრობების დიდი ნაწილი მისსავე სიცოცხლეში დაიბეჭდა „ივერიაში", „კვალში" და „მოამბეში". ამ მოთხრობებმა მას დიდი პოპულარობა მოუპოვეს ქართველი მკითხველი საზოგადოების თვალში; მაგრამ მისი ლიტერატურული ჰონორარი იმდენად მცირე იყო, რომ ჯერ „ივერიის", ხოლო შემდეგ „კვალის" რედაქციიდან მიღებული ფული წამლის საფასურადაც არ ჰყოფნიდა. უკანასკნელ წელს, სიკვდილის წინ, „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" თხუთმეტი მანეთი დაუნიშნა თვიურად. ბოლო დროს მას აგრეთვე ნივთიერ დახმარებას უწევდა ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. ეგნატე ნინოშვილი თავის სოფელში გარდაიცვალა 1894 წლის მაისში და იქვეა დასაფლავებული.



„პალიასტომის ტბა"—ივანე და ნიკო.
ნახ. ელ. ახვლედიანისა.



„განკარგულება"—კაცია მუნჯაძე.
ნახ. ელ. ახვლედიანისა.

შალვა რადიანი

ეგნატე ნინოშვილი —მხატვარი

ეგნატე ნინოშვილი ქართულ ლიტერატურაში აგრძელებს კრიტიკული რეალიზმის გზას. იგი ცხოვრებას ასახავს, როგორც მკვლევარი-სოციოლოგი, სწავლობს მის წინააღმდეგობათა შინაარსს, იძლევა განზოგადოებას და სათანადო დასკვნებს. მაგრამ სოციოლოგიური ანალიზის სიღრმეს იგი ყოველთვის უერთებს ნათელ მხატვრულ სახეებსა და ემოციურობას, და ამაშია სწორედ მისი შემოქმედების დიდი ძალა.

სტილი ეგ. ნინოშვილისა არც რომანტიკულ-კამერული, ფსევდო-ამაღლებული სტილია, არც ე. წ. „მიუკერძოებელი", „ობიექტიური" ბელეტრისტული თხრობის სტილი. მისი სტილი ამჟღავნებს ავტორის ცოცხალ, აქტიურ, ექსპრესიულ დამოკიდებულებას გამოსახატავი მოვლენისადმი. შემთხვევითი არ იყო, რომ ე. ნინოშვილი აკრიტიკებდა თავის თანამედროვე მრავალ ქართველ მწერალს მათ ნაწარმოებთა შინაგანი „სიცივისათვის". ე. ნინოშვილი ეკუთვნის იმ ტიპის მწერლებს, რომელთა ნაწარმოებებიც იმდენადაა ძლიერი, რამდენადაც მათი შემოქმედების ქვეყანაში მეტად არის შეჭრილი მღელვარე ცხოვრების სინამდვილე. ყოველსავე იმას, რასაც სისუსტედ სთვლიდნენ მის შემოქმედებაში — მოვლენების რეალისტურ გაშიშვლებას, პუბლიცისტურ სიმკვეთრეს, ნამდვილად მხატვრული სისუსტე კი არ იყო, არამედ ნიჭის სრულიად კანონიერი და შინაგანად შემეცნებული თვისება.

მხატვრული პირდაპირობა, პუბლიცისტური სიმახვილე იყო ის ახალი ელემენტი, რომელიც შემოიტანა ე. ნინოშვილმა ქართულ ლიტერატურაში. გადაჭარბებული სიტყვიერი მხატვრობა, როგორც თვითმიზანი, სიტყვიერი ორნამენტალიზმი მას არ იტაცებდა. მის მოთხრობებში მკითხველი ვერ შეხვდება განყენებულ აღწერებს, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდეთ ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებასთან. ე. ნინოშვილის ნაწარმოებითა ყოველი ნაკვეთი, ყოველი სახე ცხოვრების თარგზეა ამოჭრილი და ხელოვნებაში შესაძლებელ სინამდვილედაა გადმოცემული. არსად ზედმეტი ხაზი, არსად ფერების გადაჭარბება.

* * *

ე. ნინოშვილს კარგად ესმოდა ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლი და ფუნქცია. მისი ესთეტიკური პოზიციები განსაზღვრული იყო ცხოვრების მდიდარი პრაქტიკით. იგი ლიტერატურისა და ხელოვნების საღი უტილიტარული გაგებიდან გამოდიოდა. ხელოვნების ამოცანას ხალხის სამსახურში, ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლაში ხედავდა. ე. ნინოშვილი შეგნებულად უარჰყოფდა „წმინდა ხელოვნების" იდეალისტურ თეორიას.

ე. ნინოშვილის ესთეტიკური თეორიის დედა-არსს შეადგენს რეალიზმის აპოლოგია. მხატვრული შემოქმედების პროცესის არსებითს მომენტად იგი აყენებს ცხოვრებასთან მწერლის მჭიდრო კავშირს, ცხოვრების ორგანიულ შესწავლასა და ათვისებას. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს მწერალი. იგი პირდაპირ აცხადებს: „მწერლობა უნდა ასახავდეს ცხოვრების სინამდვილეს, მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელი მასის დაბეჩავებულ მდგომარეობის სინამდვილით აღწერას"... ამ თვალსაზრისით გამსჭვალული ე. ნინოშვილი გადაჭრით ებრძვის ვიწრო, კარჩაკეტილ, ცხოვრებისაგან დაშორებულ მწერლობასა და მწერლებს. იგი ვერ ურიგდება სინამდვილის ვერავითარ დამახინჯებას მხატვრულ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით ილაშქრებს ყალბი პათოსისა და ფორმალისტური ჟამბაზობის წინააღმდეგ. „მოთხრობაში მე ვცდილობ შეძლებისა დაგვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები"-ო, ამბობს იგი.

ე. ნინოშვილი მოითხოვს, რომ მწერალმა გვიჩვენოს სინამდვილე სრულყოფილად, ღრმად და ყოველმხრივად; მან სინამდვილე „შეუფერავი" სახით უნდა გადმოგვცესო. ე. ნინოშვილი ხელოვნებისაგან მოითხოვს, რომ ის იყოს საზოგადოებრივი, იდეური.

შემდეგი, რაც უნდა აღინიშნოს ე. ნინოშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკურ მრწამსში, — ეს არის მოთხოვნა „ტიპიზირებული ინდივიდუმების" ასახვისა. მისი კონცეპციის თანახმად ჭეშმარიტი შემოქმედება სინამდვილის ტიპიურობის საფუძველზე იშლება. მოთხრობაში, რომანში გამოსახული გმირი არ უნდა წარმოადგენდეს ცხოვრების შემთხვევით მოვლენას, გამონაკლისს. მხატვრის ამოცანაა ანალოგიური ფაქტები შეაჯამოს ერთიან სურათში, მოახდინოს მათი სინთეზი. შემოქმედება მკრთალდება, თუ იგი სინამდვილის მხოლოდ ნაწყვეტს, შემთხვევითს მომენტს გადმოგვცემს. „ჩემის ფიქრით მოთხრობის მწერალმა შემთხვევით ფაქტი არასოდეს არ უნდა აიღოს თავის მოთხრობების დედააზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპი უნდა იხატებოდეს მოთხრობაში". თუ შემთხვევითს რასმე შეეხება ავტორი,—განაგრძობს ნინოშვილი — ეს შემთხვევითი მეორე ადგილზე უნდა იქნას გადაწეული.

* * *

მართალია, ე. ნინოშვილი თავის ნაწარმოებებს ტვირთავს ფაქტიური მასალით, მაგრამ ეს მასალა არის არა ფოტოგრაფიულად გადმოცემული, არამედ მხატვრულად გარდაქმნილი. ეს მასალა მის ნაწარმოებებში ყოველთვის ხდება სიუჟეტური კოლიზიის საფუძვლად. ე. ნინოშვილი ნამდვილი ბელეტრისტია, რომელსაც მრავალი გამოქანდაკებული ტიპი ჰყავს გამოყვანილი, მრავალი სრულყოფილი ხასიათი აქვს წარმოდგენილი. მისი მხატვრული ინდივიდუალობა მოჩანს წერის მანერაშიაც და სიუჟეტის გაშლაშიც. მას კარგად ეხერხება ხასიათის არსის წარმოდგენა. ზოგჯერ მხოლოდ ერთი-ორი შტრიხით კმაყოფილდება, მაგრამ ეს ისეთი შტრიხია, რომელიც სახეს წარმოგვიდგენს მკვეთრად და ტიპიურად. წინააღმდეგ ნატურალისტებისა ე. ნინოშვილს არ უყვარს წვრილმანები: მას ისეთი მახვილი თვალი აქვს, რომ მკვეთრად ამჩნევს არსებითს ნიშანს. მისი მხატვრული თხრობა მიმდინარეობს ბუნებრივად და მსუბუქად. მას არა აქვს გართულებული ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ძიება. მისი თხრობა ცოცხალი და მკაფიოა. თითოეული დიალოგი, თითოეული ფრაზა გადაგვიშლის არა მარტო მოსაუბრის ხასიათს, არამედ სოციალური ურთიერთობის მთელ რთულ სამყაროს.

ე. ნინოშვილის მხატვრული შემოქმედების საყვარელი ფორმა—მოთხრობაა. მისი მოთხრობის კომპოზიცია არაა რთული, სადაა, მაგრამ ყოველი მათგანი დაწერილია მხატვრული დამაჯერებლობით, პოეტური სიმძაფრით, დამახასიათებელი ყოფითი სცენებით, ცოცხალი დიალოგებით, ნათლად გამოკვეთილი ხასიათებით. მის მიერ შექმნილი სახეები მეტწილად წარმოადგენენ მნიშვნელოვან მხატვრულ განზოგადოებას. იგი სოციალურ პრობლემებს აყენებს რეალური სინამდვილის ცოცხალი ფაქტების საფუძველზე. ფართოდ სარგებლობს რა მხატვრული კონტრასტების მეთოდით, ე. ნინოშვილი ყოველთვის ახერხებს გაამახვილოს მკითხველის ყურადღება გამოხატულ საზოგადოებრივ წინააღმდეგობებზე, აიძულებს მას ბოლომდე იგრძნოს და განიცადოს ეს ვითარება.

ე. ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებაში და ესთეტიკურ შეხედულებებში მკაფიოდ არის ხაზგასმული და გამოვლინებული ახალი ლიტერატურული სტილის — რევოლუციურ-დემოკრატიული სტილის საწყისები. იგი უახლოესი პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და ნიჭიერი მწერალი-რეალისტია, მწერალი დემოკრატიული ორიენტაციისა. მან გაიარა ცხოვრების მძიმე სკოლა. მთელი თავისი პირადი მდგომარეობით იგი ეკუთვნოდა ხალხს, იყო მოწმე და მონაწილე ხალხის მძიმე ყოფისა, მისი მისწრაფებისა თავისუფლებისაკენ. მის მიერ შექმნილი ყოფითი სურათები გამსჭვალულია პროტესტანტული დამოკიდებულებით მემამულურ-ბურჟუაზიულ წყობილებისადმი, გამსჭვალულია მშრომელი ადამიანის დაცვის სულისკვეთებით. იგი დიდი ჰუმანისტი მწერალია. ეს ჰუმანიზმი, ეს სიყვარული მშრომელი ადამიანისადმი გამოსჭვივის მის ყოველ ნაწარმოებში. ე. ნინოშვილის ყოველ მოთხრობაში სჩანს, რომ თემა ყოველ მხრით აწონ-დაწონილი აქვს, ტიპები ღრმად გააზრებული, მოქმედების განვითარება მრავალჯერ შემოწმებული, სინამდვილე მთელი სისრულით ათვისებული.

* * *

ბურჟუაზიული კრიტიკის წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ე. ნინოშვილის ყველა მოთხრობა პუბლიცისტურია და მისი ნიჭის უმთავრესი ღირსება და მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობსო. ასეთი მოსაზრების ავტორებს საბუთად მოჰყავთ ის, რომ თითქოს ე. ნინოშვილის შემოქმედებაში ცოტაა „კეთილხმოვანი" გამოთქმები, უჩვეულო სახეები და სხვ. მაგრამ მხოლოდ ამის საფუძველზე ე. ნინოშვილის „სუსტი ფორმის" მწერლად წარმოდგენა ნიშნავს იმას, რომ სრულებით ვერ გაიგო ის ახალი გზა, რომლის წარმომადგენელიც ქართულ ლიტერატურაში არის ე. ნინოშვილი.

ე. ნინოშვილს არ შეეძლო „მიუკერძოებლად", ოლიმპიური სიმშვიდით დაეხატა ცხოვრება. მისი მხატვრული ნაწარმოების ყოველ ელემენტში დაწყებული ეპიტეტით და გათავებული გმირის ხასიათის გაშლილი გადმოცემით, მოჩანს ავტორი, თავისი სიყვარულით და სიძულვილით გმირებისადმი, მოჩანს პუბლიცისტური პათოსი, თუმცა ამავე დროს იგი არ იძლევა მზამზარეულ სქემას, სინამდვილეს არ ახვევს თავის პირად გადაწყვეტილებას, არამედ რეალობის უშუალო გამოხატვით ჰქმნის მხატვრულად დამაჯერებელ სიტუაციებსა და სახეებს. ე. ნინოშვილი გურიის ხალხის ცხოვრების საუკეთესო მცოდნე იყო. ამიტომაა სწორედ, რომ მისი მოთხრობების თემა, შინაარსი აღებულია პირდაპირ ცხოვრებიდან, თითქმის ყველა მის მოთხრობას საკუთარი პროტოტიპი ჰყავს.

ე. ნინოშვილის მოთხრობების ფაბულა გამოირჩევა სისადავით. იგი მოხერხებულად იყენებს სურათების კონტრასტულ დაპირისპირებას, მათი ლაკონიური შემჭიდროების და მოკლე დიალოგებში გადმოცემის ხერხებს. მისი მთავარი თხრობითი სტრუქტურაა—დინამიკურობა, მოვლენების სწრაფი განვითარება, დრამატიული მომენტების შექმნა, კოლიზიების გაშლა და მომქმედი პირების მოქმედების ლოგიკური და მოტივირებული განვითარება; გმირების დახასიათების მთავარ ელემენტს წარმოადგენს დიალოგი, სადაც გმირები ამჟღავნებენ თავიანთ მდგომარეობას, შეხედულებას და სხვ.

ე. ნინოშვილის შემოქმედება მრავალმხრივ არის საყურადღებო, საგულისხმო და სანიმუშო. მის შემოქმედებას, რომელიც ღრმად და სიმართლით ასახავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების არსებით მხარეებს, უდიდესი მხატვრულ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

ე. ნინოშვილი ებრძოდა იმ წესწყობილებას, რომელიც ხალხს აუტანელ სატანჯველში ამყოფებდა. ერთადერთ გამოსავალს ხალხისათვის იგი ხედავს საზოგადოებრივი წყობილების შეცვლაში რევოლუციური ბრძოლის გზით. მიუხედავად სასტიკი საცენზურო პირობებისა, მისი ნაწერები მკითხველში ამტკიცებდა სწორედ ასეთ რწმენას.

ყოველივე ეს ე. ნინოშვილს ქართულ ლიტერატურაში აკუთვნებს დაუვიწყებელ ადგილს, როგორც თავისებურ და ძლიერ რეალისტ მწერალს.

(„ლიტ. და ხელ." გვ. მე-3).



„პარტახი". მელანია და ლევანი.

ნახ. ირ. თოიძისა.

ა. ს. ნოვიკოვ-პრიბოი

მოსკოვიდან სამწუხარო ცნობა მოვიდა: მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა ხალხისთვის დიდად ცნობილი და საყვარელი მწერალი ალექსეი ნოვიკოვ-პრიბოი. მის ნაწარმოებებს ჩინებულად იცნობენ საბჭოთა ქვეყნის მილიონი მკითხველები. განსაკუთრებით უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მისი შესანიშნავი ეპოპეია „ცუსიმა", რომელიც გვიხატავს რუსი მეზღვაურების საარაკო ვაჟკაცობასა და სიმამაცეს, სიყვარულსა და თავდადებას სამშობლოსათვის, „ცუსიმამ" ნოვიკოვ-პრიბოის მსოფლიო სახელი მოუხვეჭა.

ალექსეი ნოვიკოვ-პრიბოი დაიბადა 1877 წელს მშრომელი გლეხის ოჯახში. 1899 წელს იგი მეზღვაურად გაიწვიეს ბალტიის ფლოტში. აქ იგი დიდხანს მსახურობდა. შემდეგ მონაწილეობდა წყნარი ოკეანის მეორე ესკადრის ლაშქრობაში და სამხედრო ოპერაციებში. ამავე დროს იგი ეწეოდა არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობას, ხოლო ურთიერთობა და პირადი მიწერ-მოწერა ჰქონდა მაქსიმ გორკისთან. სამწერლო ასპარეზზე ნოვიკოვ-პრიბოი გამოვიდა 1906 წელს. 1914 წელს მან დასწერა შესანიშნავი წიგნი — „ზღვის მოთხრობები", რომელიც გამოქვეყნდა მხოლოდ 1917 წელს.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ ნიჭიერ მწერალს საშუალება მისცა გამხდარიყო პროფესიონალი მწერალი და ხელი მოეკიდა მხოლოდ ლიტერატურული შრომისათვის. მთელ რიგ მოთხრობებში (რომელთა შორის თავიანთი მაღალი მხატვრული ღირსებით გამოირჩევიან „ზღვა გვეძახის" და „ქალი ზღვაზე") ნოვიკოვ-პრიბოიმ აღბეჭდა რუსი მეზღვაურების მაღალი მორალური თვისებები, მათი რევოლუციური შეგნების ზრდა, რუსი ადამიანის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი.

რუსი ადამიანების ფსიქოლოგიის შესანიშნავი ცოდნა, ლიტერატურული ენის სიცხოველე, რეალისტური სიზუსტე აღწერილობაში, რომანტიული მღელვარება და შინაგანი დაძაბულება თხრობაში, ამ თვისებებით გამოირჩევა ნოვიკოვ-პრიბოის მხატვრული პროზა. განსაკუთრებით ეს თვისებები გამოჩნდა „ცუსიმაში".

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო წარმატებებისა და მიღწევებისათვის მთავრობამ 1939 წელს ნოვიკოვ-პრიბოი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო 1941 წელს „ცუსიმასათვის" მას სტალინური პრემია მიეკუთვნა.

მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი ნოვიკოვ-პრიბოი დაუცხრომლად მუშაობდა სამამულო ომის დღეებში. მან დასწერა დიდი რომანი „პირველი რანგის კაპიტანი", რომელშიაც ასახა სამშობლოსათვის თავდადებული ნიჭიერი და პატიოსანი რუსი ადამიანი, რომელიც მატროსობიდან საბრძოლო ხომალდის კაპიტნის ხარისხამდე გაიზარდა.

„ნოვიკოვ-პრიბოის წიგნები, რომლებიც გამსჭვალული არიან ზღვის ცხოვრების რომანტიკით და აღსავსენი რუსი ხალხის გმირობით მუდამ დარჩება საბჭოთა მკითხველების ხსოვნაში — სწერს „პრავდაში" რუსი საბჭოთა მწერლების ჯგუფი (ნ. ტიხონოვი, ლ. სობოლევი, ა. ფადეევი, ი. ერენბურგი, მ. შაგინიანი და სხვ.), — ხოლო ჩვენთვის, რომელთაც პირადი ურთიერთობა გვქონდა მასთან, მთელს ჩვენს სიცოცხლეში დაუვიწყარი დარჩება მისი პირადი მომხიბვლელობა, შესანიშნავი სახე ამ დიდი პატრიოტი მწერლისა, თავმდაბალი ადამიანისა, ენერგიული საზოგადო მოღვაწისა, მგრძნობიარე ამხანაგისა და ლიტერატურული ახალგაზრდობის გულისხმიერი მეგობრისა, რომელმაც მთელი თავისი ძალა და იშვიათი ნიჭი მშობელი ხალხის სამსახურს მოახმარა".

„ჩრდილოეთის ვარსკვლავი"

ახალი ამერიკული კინო-ფილმი რუსეთის ერთ-ერთ კოლმეურნეობაზე

ამჟამად მოსკოვის კინო-თეატრებში მაყურებელს უჩვენებენ ახალ ამერიკულ მხატვრულ კინო-ფილმს „ჩრდილოეთის ვარსკვლავს". ფილმი გამოშვებულია ამერიკული კინო სტუდიის „ს. გოლდვინის" მიერ. სცენარის ავტორია ლილიან ჰელმანი, ხოლო რეჟისორი—ლუის მაილსტონი, აქტიორები არიან ამერიკელები. ფილმის შინაარსი საბჭოთა ქვეყნის სინამდვილიდან არის აღებული. იგი ეხება საკოლმეურნეო ცხოვრებას, ერთ-ერთი კოლმეურნეობის წევრთა ოჯახების თავგადასავალს.

„ჩრდილოეთის ვარსკვლავს" ვრცელი წერილი უძღვნა დ. ზასლავსკიმ, რომელმაც მას ფრიად მაღალი შეფასება მისცა.

„ფილმი,—სწერს იგი — ტექნიკურად ძალიან კარგია. იგი გაკეთებულია ნათელ ტონებში დიდი გემოვნებით. ფილმს მაყურებელი შეჰყავს სამი ოჯახის შინაგან ცხოვრებაში. აქ არიან უფროსი თაობის ადამიანები —მამები და დედები, მაგრამ პირველ პლანზე წამოწეულია ახალგაზრდობა".

როგორც ზასლავსკი აღნიშნავს, ფილმს აქა-იქ ეჩნევა შეუსაბამობა, მაგრამ მასში ძირითადათ სწორად არის მოცემული საბჭოთა ცხოვრება. საბჭოთა ახალგაზრდობის, საერთოდ საბჭოთა ხალხის დიდი კეთილშობილება, მორალური სიფაქიზე, მაღალი აზრები და გრძნობები, — ყველაფერი ეს გაგებული და ნაგრძნობი აქვთ კინოხელოვნების ამერიკელ მუშაკებს. აქედანაა აქტიორების დამაჯერებელი თამაში, აქედანაა ფილმის დიდი მორალურ-პოლიტიკური ზეგავლენა. იგი კარგად ხსნის, ეს მხიარული, გულკეთილი ახალგაზრდები, რომლებიც სწავლითა და შრომით იყვნენ გართულნი, სამშობლოს განსაცდელის ჟამს თუ როგორ იქცნენ მრისხანე მეომრებად და სასტიკ შურისმგებლებად.

ფილმში ცენტრალური ადგილი უჭირავს კოლმეურნეთა მონაწილეობას სამამულო ომში. შესანიშნავად არის ნაჩვენები გერმანელ ავაზაკთა ვერაგობა და დაუნდობლობა. ამ მხრივ ყველა დეტალი დიდებულად არის გაკეთებული, ყოველი წვრიმალი ისეა მოცემული, როგორც ამას მხატვრული საჭიროება მოითხოვს. მით უფრო შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს გერმანელთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. მთელი ფილმი გაკეთებულია დიდი დინამიურობით, მწვავე სიტუაციებით, ცოცხალი დიალოგით, ყველა იმ ღირსებით, რაც საუკეთესო ამერიკულ კინო-სურათებს ახასიათებს. იგი საინტერესოა გარდა ამისა იმით, რომ გვიჩვენებს წითელი არმიის და საბჭოთა ხალხის დიდ მორალურ-პოლიტიკურ ძალას.

ჩარლი ჩაპლინის საღამო მოსკოვში

უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ და მოსკოვის კინო-სახლმა 26 აპრილს მოაწყეს ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორისა და მსახიობის ჩარლი ჩაპლინისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

მოხსენებით ჩაპლინის შემოქმედების შესახებ გამოვიდა კინო-რეჟისორი გ. ალექსანდროვი, საღამოს მეორე განყოფილებაში დამსწრეთ უჩვენეს ჩაპლინის ახალი ფილმების ფრაგმენტები და მისივე სურათი „ოქროს ციებ-ცხელების" გახმიანებული ვარიანტი.

27 აპრილს გაიმართა ჩაპლინისადმი მიძღვნილი მეორე საღამო. სიტყვებით ჩაპლინის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ომის დღეებში და ფაშისტური ბარბაროსების წინააღმდეგ ჩაპლინის ბრძოლის შესახებ გამოვიდნენ ბ. მიხოელსი, ილია ერენბურგი, დ. შოსტაკოვიჩი, ს. იუტკევიჩი და ვ. პუდოვკინი. მსახიობმა ვ. მარეცკაიამ წაიკითხა ლოს-ანჯელოსიდან მიღებული ჩაპლინის დეპეშა:

„ბედნიერი ვარ მოვისმინო, რომ ომის მძიმე პირობები ხელს არ გვიშლიან გავაჩაღოთ კულტურის მიღწევათა გაცვლა-გამოცვლა ორ მოკავშირე ხალხს შორის — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. გადაეცით ფესტივალის მონაწილეთ ჩემი სალამი და მალე გამარჯვების სურვილები".

დამსწრეთა სახელით ჩაპლინს გაეგზავნა საპასუხო მისასალმებელი დეპეშა.

მოსკოვის კინო-სახლში და „ვოკსის" შენობაში მოწყობილია გამოფენა ფოტო მასალებისა ჩარლი ჩაპლინის შემოქმედების შესახებ.

ახალი ხალხური თქმულებანი

თეთრი ზღვის ნაპირზე მშობლიურ სოფელ ზიმნაია ზოლოტიცაში ცხოვრობს ცნობილი ხალხური მთქმელი და მელექსე — ორდენოსანი მართა კრიუკოვა. რუსული ფოლკლორის ეს ნიჭიერი წარმომადგენელი, მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა, დიდი შემოქმედებითი აღმავლობით და შთაგონებით მუშაობს ახალი პოემების და თქმულებების შექმნაზე. ომის წლების განმავლობაში მან შექმნა ბევრი ეპიური ნაწარმოები, რომელნიც მიძღვნილი არიან საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისადმი.

მარტო 1943 წლის განმავლობაში სხვადასხვა გაზეთებში და ჟურნალებში გამოქვეყნებული იყო მართა კრიუკოვას ოცზე მეტი ნაწარმოები. ამ დღეებში მან დაამთავრა დიდი სიუჟეტური პოემა „ილია მურომეცის დაბრუნება". უძველესი თქმულებების გმირი ილია მურომეცი — სიმბოლოა თვით ხალხისა, მისი სიმამაცისა, მისი თავგანწირვისა. ის თავის ერთგულ მეგობრებთან ერთად სწმენდს მშობლიურ მიწა-წყალს ვერაგი მტრის ურდოებისაგან.

მართა კრიუკოვამ დაამთავრა აგრეთვე მეორე ნაწარმოები „კრემლის სალუტები", რომელშიაც ნათელი სახეებით გადმოცემულია მამაცი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვება.

არხანგელსკის საოლქო გამომცემლობამ გამოსაცემად დაამზადა კრებული მართა კრიუკოვას იმ ნაწარმოებებისა, რომელნიც დიდ სამამულო ომს ეხებიან.

ლიტერატურული ცხოვრება

ელენე კელენჯერიძე

სტუმრად პატარებთან

დარბაზი სავსეა ბავშვებით. აქ ნახავთ მხოლოდ ძალიან პატარებს — სკოლამდელი ასაკის თეთრწინსაფრიან ბავშვებს და პირველი კლასის მოწაფეებს. მათ დღეს თავიანთი ცოდნა უნდა უჩვენონ ბავშვთა საყვარელ პოეტს, დამსახურებულ პედაგოგს ილია სიხარულიძეს. ეს შეხვედრა მათ პიონერთა სასახლის ლიტერატურულმა კაბინეტმა მოუწყო 6 მაისს. აი, პოეტიც შემოდის და იკავებს ადგილს ბავშვებით გარშემორტყმულ მაგიდასთან.

მოხსენებით „ილია სიხარულიძის საბავშვო ლირიკა" გამოდის ქალთა მე-6 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე დარეჯან სირია.

ამის შემდეგ თითონ ბავშვები კითხულობენ ლექსებს. მათ დიდი ლექსები დაუსწავლიათ, ინსცენირებაც მოუწყვიათ. მაყურებლები მათივე ამხანაგები არიან.

ერთმანეთს ეჯიბრებიან ლექსის წაკითხვაში მგალობლიშვილი, თოფურია, ჯაფარიძე, დოლიძე, წულუკიძე, კანდელაკი, მესხიშვილი და სხვა.

მშვენივრად ჩაატარეს ინსცენირება ლექსისა „თვალხუჭუნა დედოფალა" ორმა გოგონამ.

პატარებმა ომის ამბებიც იციან. ისიც იციან, რომ ჰიტლერი ბავშვებს აწამებს და ხოცავს, ისიც იციან, რომ ჰიტლერს მალე დაამარცხებენ ომში წასული მათი მამები. მტრისადმი სიძულვილის გრძნობით სავსე პატარები შესანიშნავად წარმოადგენენ სცენას „პატარა მხატვრები". ისინი ერთმანეთს დახატულ სურათებს აჩვენებენ. გივის ხეზე დაბმული შავი ძაღლი დაუხატავს. ეს ჰიტლერია. მას ძაღლის თავი და კუდი აბია. თინა კი, აი, რას აპირებს პატარა თინა:

„მე, მე აგერ ჰიტლერს ვხატავ,
ვირის ყურებს გამოვაბამ!
ისე უნდა! რატომ გვებრძვის!
რატომ ჰხოცავს ბავშვებს აბა?"

პირველი კლასის მოსწავლემ მზია აბაშიძემ წაიკითხა მე-10 კლასის მოსწავლის ნაზი კილასონიას ლექსი „თაიგული", მიძღვნილი ილია სიხარულიძისადმი და მანვე მიართვა პოეტს დიდი თაიგული. დასასრულს საკუთარი ლექსები წაუკითხა ბავშვებს ილია სიხარულიძემ: „გია", „გურამიკოს სწავლა უნდა" და სხვა... ამ ლექსებს ბავშვები სიცილით და ტაშით შეხვდენ.

მართალია ძალიან ადვილი, საბავშვო ენით არის დაწერილი ილია სიხარულიძის ლექსები, მაგრამ ძალიან ძნელია ასე დიდი ზომის ლექსები შეასწავლო სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, რომლებმაც არც წერა იციან და არც კითხვა.

აქ დიდი ღვაწლი მიუძღვის დამსახურებულ პედაგოგს ბაბო მჭედლიძეს, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობს პიონერთა სასახლის ლიტერატურული კაბინეტის ერთ-ერთი წრე.

პროზაიკოსთა სექციაში

ამ დღეებში მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექციის საჯარო სხდომაზე მწერალმა არჩილ ჩაჩიბაიამ წაიკითხა თავისი ახალი მოთხრობა „მწვერვალები". მოთხრობა დაწერილია კავკასიის გმირული დაცვის თემაზე. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, მის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა—ლ. ქიაჩელმა, ს. თავაძემ, ბ. ჩხეიძემ, ი. ტატიშვილმა, ი. ლისაშვილმა, ა. ლომიძემ, ვ. ავალიანმა, კ. დევდარიანმა და გ. ხუხუაშვილმა.

როგორც კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, მოთხრობა „მწვერვალები", ინარჩუნებს იმ თავისებურებებს, რომელიც ახასიათებს მწერალ არჩილ ჩაჩიბაიას უკვე გამოქვეყნებულ მოთხრობებს. მწერალი კარგად გამოხატავს მოთხრობის მთავარი გმირის სულიერ განცდებს კავკასიის მთების კალთებთან გამართულ ბრძოლის ფონზე.

ავტორს უცდია ასახოს ის მძაფრი დღეები, როცა ქართველი ხალხის სასიქადულო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განხორციელდა კავკასიონის მისადგომებთან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების დიადი სტალინური გეგმა. საინტერესოდ არის გახსნილი მოთხრობის მთავარი გმირის შავლა გურგენიძის იდეური სახე; იგი იბრძვის იმ ბედნიერი ცხოვრების დასაცავად, რომლითაც ცხოვრობდა ომამდე.

მოთხრობა დაწერილია რეალისტური სტილით და ამავე დროს მასში იგრძნობა რომანტიული ელფერი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწერალს ახასიათებს თავისებური ხედვა, მოვლენების ორიგინალურად გაშუქება.

ამასთან ერთად კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ავტორს მიუთითეს ზოგიერთ ნაკლოვანებებზე: ნაწარმოები უნდა განიტვირთოს განმეორებებისაგან, ზოგიერთი ზედმეტი ფრაზებისა და სახეებისაგან.

საბოლოო სიტყვაში ავტორმა აღნიშნა, რომ მწერლების შენიშვნებს მიიღებს მხედველობაში მოთხრობაში საჭირო შესწორებების შეტანისათვის.

ს. ისიანის ხსოვნის საღამო

საქ. ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა კულტურის სახლში მოიწყო ქუთაისის კომკავშირის ორგანიზა[illegible] გამოსული პოეტი-მეომრის [illegible] ხსოვნისადმი მიძღვნილი [illegible] პირველი [illegible] საღამო.

საღამო გახსნა [illegible] საქალაქო კომიტეტის მდივანმა [illegible] დარგში ამხ. გიორგი მაჭავარიანმა [illegible] აღნიშნა, რომ ქუთაისის კომკავშირ[illegible] განიზაციების მიერ აღზრდილი მრავალი კომკავშირელი სამამულო ომის ფრონტებზე მამაცურად იბრძვის უბოროტესი მტრის — გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ.

სამამულო ომის ფრონტზე მტერთან ბრძოლაში, სარდლობის საბრძოლო დავალებათა შესრულების დროს გმირული სიკვდილით დაიღუპა პოეტი ისიანი.

მოხსენებით სევერიან ისიანის ლიტერატურული შემოქმედების შესახებ გამოვიდა მწერალი ვლადიმერ გუგუშვილი.

საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი, ს. ისიანის აღმზრდელი—პლატონ წულუკიძე, პოეტი გიორგი გიასელი. ს. ისიანისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს არჩილ გურჯიძემ, გრიგოლ იმედაძემ და ვასო გვეტაძემ. სევერიან ისიანის ლექსები წაიკითხეს ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა ანდრო კობალაძემ, ვაჟთა პირველი სკოლის მოსწავლემ ზაური თავიდაშვილმა, ქალთა მე-8 სკოლის მოსწავლემ ლამარა ჭაგნელიძემ და ვაჟთა მე-5 სკოლის მოსწავლემ ზურაბ ბალანჩივაძემ.

საღამოს დიდძალი ახალგაზრდობა დაესწრო.

საიუბილეო კონცერტები

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ენტუზიაზმით აღნიშნა 100 წლის თავი რუსული ეროვნული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გენიალური რუსი კომპოზიტორის — ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის დაბადებიდან.

თბილისის მუსიკალურმა დაწესებულებებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად. მოწყობილი იქნა მთელი რიგი კონცერტებისა, რომელთაც მიიპყრეს თბილისის საზოგადოებრიობის ყურადღება და სავსებით სამართლიანად მისი მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

საიუბილეო კონცერტების ციკლი გაიხსნა ოპერაში გამართული კონცერტით. ამ კონცერტში მონაწილეობდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. შესრულებული იქნა რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური და ვოკალური ნაწარმოებები. შესავალი სიტყვა კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წარმოსთქვა ლექტორმა პ. ხუჭუამ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სამი კონცერტი, რომელიც მოწყობილი იქნა საქ. ფილარმონიის მიერ. ამ კონცერტებზე შესრულებული იქნა რიმსკი-კორსაკოვის სამი ოპერა-ზღაპრის მონტაჟი: „თოვლია", „ოქროს მამალი" და „ზღაპარი მეფე სალტანზე" (სრულდებოდა თბილისში პირველად).

ხსენებული მონტაჟის ლიტერატურული და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით რესპ. სახ. არტისტს ე. სატინას და პროფ. ლ. შვედოვს.

თითოეულ კონცერტს წინ უძღოდა შესავალი სიტყვა. ოპერის მონტაჟი სრულდებოდა პირველ განყოფილებაში, ხოლო მეორე განყოფილება ეთმობოდა რომანსებს და არიებს რიმსკი-კორსაკოვის მრავალრიცხოვან ოპერებიდან.

შემსრულებელთა კოლექტივმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მომღერლები: ე. ჩასტი, ელ. ეპიტაშვილი, პ. შარატა-დოლიძე, ა. კოლიჩენკო. ოსტატურად მიჰყავდა მონტაჟის ტექსტი სპექტაკლის რეჟისორს — ე. სატინას. მისასალმებელია ახალგაზრდა შემსრულებელთა: ე. მარჩინინას, გ. კეშელავას და გ. უგულავას მონაწილეობა კონცერტში. მთელი კოლექტივის სერიოზული და ინტენსიური მუშაობის შედეგად ჩვენი მსმენელი გაეცნო რიმსკი-კორსაკოვის საოპერო შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

სიღნაღის თეატრი

სიღნაღის თეატრის 15 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, რომელიც 29 აპრილს უნდა ჩატარებულიყო, გადადებულია 14 მაისისათვის. ამ თარიღისათვის თეატრმა მოამზადა კ. სიმონოვის ცნობილი პიესა „მელოდე", რომელსაც სდგამს მ. იარალი (თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი).

განვლილი წლების განმავლობაში თეატრმა მრავალი საინტერესო დადგმა განახორციელა, კერძოდ სამამულო ომის დღეებში თეატრის მუშაობა ფრიად ნაყოფიერი და მრავალფეროვანი იყო. გარდა ქალაქ სიღნაღისა, თეატრი სპექტაკლებს მართავდა კოლმეურნეობებში. აგრეთვე აწყობდა გასტროლებს მეზობელ რაიონში — წითელწყაროში, სადაც 45 სპექტაკლი გამართა.

განვლილი წლების განმავლობაში სიღნაღის თეატრში მუშაობდნენ და დადგმებს ახორციელებდნენ შ. აღსაბაძე, ვ. ადამიძე, ს. მებურიშვილი და სხვები. ბევრი მსახიობი, გაზრდილი სიღნაღის თეატრში, ახლა წარმატებით მუშაობს საქართველოს სხვა თეატრებში. ამჟამად სიღნაღის თეატრში მუშაობენ მცხოვანი მსახიობები: მ. ანდრონიკაშვილი, ვ. ქართველიშვილი. ახალგაზრდები: თ. მენთეშაშვილი, გ. ფხოველიშვილი, გ. დენისაშვილი, ნ. ზალდასტანიშვილი, რ. ბერიძე, შ. გულორდავა, რ. აბრამოვი, გ. ალაძე, ა. ნასყიდაშვილი, მსახიობი და რეჟისორი გ. გაბისონია და სხვ. თეატრში მუშაობს ახალგაზრდა მხატვარი ნ. გომელაური.



ა. წერეთლის „კინტო" სიღნაღის თეატრში. დეკორაციის ესკიზი.

ქრონიკა

ქართული მუსიკის საღამოები მოსკოვში

მაისის შუა რიცხვებში მოსკოვში მოეწყობა ქართული მუსიკის საღამოები. ამ საღამოებზე შესრულებული იქნება ქართველ კომპოზიტორთა სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები. პროგრამაშია ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, გ. კილაძის, შ. მშველიძის, ი. ტუსკიას, ა. ბალანჩივაძის, შ. აზმაიფარაშვილის, ი. გოკიელის, ო. ბარამიშვილის, ა. მაჭავარიანის, რ. გაბიჩვაძის, შ. თაქთაქიშვილის და სხვ. ნაწარმოებები.

საღამოებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს გაემგზავრნენ სოლისტები ე. სოხაძე, ნ. ცომაია, დ. ანდღულაძე, დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, პ. ამირანაშვილი, გ. გოგიჩაძე, ბ. კრავეიშვილი, ბ. ჭიაურელი, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები მიქელაძე და გოცირიძე, საქფილარმონიის კვარტეტი (მიუკაშვილი, იაშვილი, ბარნაბიშვილი და ბერიძე), კონცერტმეისტერები მაჭუტაძე და დუდენკო. სიმფონიურ კონცერტებზე დირიჟორობას გასწევენ შ. აზმაიფარაშვილი, ვ. ფალიაშვილი და ჯ. გოკიელი.

„სამშობლოს სადღეგრძელოდ"

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ ამ დღეებში გამოსცა აჭარელ მწერალთა ახალი ნაწარმოებების კრებული „სამშობლოს სადღეგრძელოდ". კრებულში მოთავსებულია შემდეგი პოეტების ლექსები: ნ. მალაზონიას „ბრძოლის გარეშე არსად არავინ!", „დამიგვიანდა, შვილო ბარათი!", „ნანა", შალვა იოსელიანის „ამდგარა ხალხი", მამუდ ვარშანიძის „ჰალალ იყოს", „მეც ამიღია ხელში შაშხანა", პ. რურუას „სიმღერა", „სამამულო ომში დაღუპულ ძმას", შ. შუბლაძის „თავისუფალ უკრაინას", კ. რუხაძის „ჩვენ წინ მივდივართ", გ. სალუქვაძის „ბალადა ქართველ მეომარზე", ნადიდე გვარიშვილის „აჭარელ მებრძოლ ჰაბუკს", ხემიდ ხალვაშის — „დაჭრილი", „პარტიზანული", მიხ. თაბაგარის „წერილი ფრონტელ მეგობარს", მ. რუხაძის „მამის ბარათი შვილისადმი", სიმონ რუხაძის „ჩემო სამშობლოვ", ლევ. ყუფარაძის „დედის ბარათი მეომარს", შოთა როყვას „მტერთა ჟლეტა [illegible]". კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე პარმენ ლორიას მოთხრობა „სამაგიერო".

„ირმის ხევი" ქუთაისის თეატრში

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა ამ ახლო ხანში თავის მაყურებელს უჩვენა სერგო კლდიაშვილის ახალი პიესა „ირმის ხევი".

ეს პიესა იდეურად უაღრესად აქტუალური და მხატვრულად მაღალხარისხოვანი ნაწარმოებია. მასში ასახულია გერმანელი ფაშისტების განადგურებისათვის კავკასიის ხალხთა გმირული ბრძოლის ცალკეული ღირსშესანიშნავი ეპიზოდები. ამავე დროს ავტორი ცდილობს ასახოს საბჭოთა ფრონტისა და ზურგის ურყევი მთლიანობა.

პიესა დასდგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, მუსიკა ეკუთვნის—კ. მეღვინეთ-უხუცესს, მხატვრული გაფორმება — იაქაშვილს.

მხატვართა საბჭო

საქართველოს მხატვართა კავშირთან დაარსდა მხატვართა საბჭო, რომელიც განიხილავს ყოველგვარი სახის მხატვრულ გამოცემას და გასავრცელებელ მხატვრულ ნაწარმოებებს (სურათების რეპროდუქციები, ილუსტრაციები, ქანდაკებები, კერამიკული ნაწარმოებები და სხვანი).

მხატვართა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: შალვა მამალაძე (თავმჯდომარე), უჩა ჯაფარიძე, აპ. ქუთათელაძე, თამარ აბაკელია, ლ. გუდიაშვილი, ვ. თოფურიძე, ს. ნადარეიშვილი და პ. ბლიოტკინი.

მხატვარ ვლ. სოკოლის სურათების გამოფენა

მხატვართა კავშირის კლუბში (ფურცელაძის ქ. № 2) ამ დღეებში გაიხსნა მხატვარ ვლ. სოკოლის სურათების მიმოხილვითი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია სოკოლის შემოქმედების ადრინდელი პერიოდის „პერედვიჟნიკული" ხასიათის სურათები და აგრეთვე უკანასკნელი ნამუშევრები (ეტიუდები, პეიზაჟები და სხვ.) კლუბი ღიაა ყოველდღე საღამოს რვა საათიდან თერთმეტ საათამდე, გარდა სამშაბათისა.

„ლიტერატურული ქუთაისი"

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა ერთდროული გაზეთი „ლიტერატურული ქუთაისი". გაზეთში მოთავსებულია შემდეგი მასალები:

საბჭოთა ლიტერატურის საბრძოლო ამოცანები (მოწინავე), დოც. გ. სამხარაძე — სტალინი სამამულო ომის ფოლკლორში (წერილი), გრ. იმედაძე—ბერია კავკასიონზე (ნაწყვეტი პოემიდან), დ. თომაშვილი — ფრონტელ პოეტს (ლექსი), რ. ბერიძე — კოლხიდის კართან (ლექსი), ვ. ევსიშვილი—გმირები ქართულ პოეზიაში (წერილი), ვ. ლალიაშვილი—იქითა ნაპირზე (ნარკვევი), ბ. კეშელავა—რომთულ (ნაწყვეტი პოემიდან), ლ. მარდალეიშვილი—თეთრონი (ნოველა), ა. ფურცხვანიძე — „გმირობით დამარცხებული სიკვდილი" (მოთხრობა), ვ. გუგუშვილი — პოეტი სევერიან ისიანი (წერილი), ვ. გვეტაძე—მისი სახელი უკვდავი არის (ლექსი), ა. გურჯიძე—ორი ლექსი, ს. თევანიძე—სიმღერა სამშობლოზე (ლექსი), გ. გიასელი—მოულოდნელი შეხვედრები (ლექსები), შ. ჩარკვიანი—ქეთევან წამებული (ნაწყვეტი პოემიდან), თ. ბერიძე—ახალგაზრდა სკულპტორები (წერილი), ვ. გუგუშვილი—ახალი ლექსები, ა. სანი—ჰამის აჩრდილი (ლექსი), შ. ტოგონიძე — სიმღერა გმირზე (ლექსი), დ. კვირკველია—ქართველი მეომარი (მოთხრობა), მ. მახათაძე—ქართველი მემატიანენი ჩვენი სამხედრო ხელოვნების შესახებ (წერილი), დ. კვირკველია—ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა (წერილი), ვ. თარიშვილი — მკვიდრი (ნარკვევი).

◇

მოძმე რესპუბლიკებში

უკრაინული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

ხარკოვიდან უკანდახევისას გერმანელებმა ცეცხლი წაუკიდეს უკრაინის პირველ სამხატვრო გალერეას. ჩააგდეს რა საკუთარი სიცოცხლე ხიფათში, საბჭოთა პატრიოტებმა ცეცხლისაგან იხსნეს გალერეის ექსპონატები. მაგალითად ხარკოვის მცხოვრებმა კისნისკაიამ გადაარჩინა 39 სურათი, მხატვარმა კრიშკომ — ტარას შევჩენკოს ნახატები, რეპინის აკვარელი და მაკოვსკის ეტიუდები. გალერეის თანამშრომლებმა გუბამ და პეტრენკომ მოაწყეს გათხრა და ნანგრევებიდან ამოიღეს 400-მდე ექსპონატი.

უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებით ხარკოვის სურათების გალერეა გადაკეთებულ იქნა უკრაინის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმად. უახლოეს ხანში მუზეუმის ფონდი შეივსება უკრაინის და რუსული ხელოვნების იმ ნიმუშებით, რომლებიც ომის პირველ დღეებში ხარკოვიდან საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში იქნა გახიზნული.

ყირგიზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი

მაისის პირველ რიცხვებში ქალაქ ფრუნზეში შესდგა ყირგიზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის ალა ტოკომბაევის მოხსენება — „ყირგიზეთის მწერლობა სამამულო ომის დღეებში" და თანამოხსენებანი უ. ჯაკიშევისა — ყირგიზულ პროზაზე, დ. ბოკონბაევისა — ყირგიზულ პოეზიაზე, კ. მალიკოვისა — აკინების შემოქმედებაზე და სამანჩინისა — ყირგიზულ დრამატურგიაზე.

კონკურსი საუკეთესო თათრულ პიესაზე

ყაზანიდან იუწყებიან, რომ ა. წ. პირველ აპრილიდან პირველ ნოემბრამდე, თათრეთის სახალხო კომისართა საბჭოს და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გადაწყვეტილებით, ტარდება კონკურსი საუკეთესო თათრულ თანადროულ და ისტორიულ პიესაზე. დაწესებულია ხუთი პრემია: პირველი — 30 ათასი მანეთის რაოდენობით, ორი — მეორე — 20-20 ათასი მანეთისა და ორი მესამე 10-10 ათასი მანეთის რაოდენობით.

ახალი საბჭოთა კინო - ფილმები

„დღეები და ღამეები".

ამ უახლოეს ხანში მოსკოვის კინო-სტუდია შეუდგება რამდენიმე სათავგადასავლო მხატვრული კინო-სურათის გადაღებას. პირველ რიგში დაიწყება მუშაობა კ. სიმონოვის რომანის მიხედვით დაწერილი კინოსცენარის „დღეების და ღამეების" გადასაღებად. ამ კინო-ფილმში მხატვრულად ასახული იქნება სტალინგრადის ლეგენდარული დაცვა. ფილმს სდგამს რეჟისორი ა. სტოლპერი.

„სცენის ოსტატები"

რეჟისორი ვ. იურენევი მოსკოვის კინოსტუდიაში სდგამს მეცნიერულ კინოსურათს, რომელსაც ეწოდება „სცენის ოსტატები". ფილმში ნაჩვენები იქნება მოსკოვის სამხატვრო თეატრის და მისი გამოჩენილი მსახიობების შემოქმედება. ფილმში გახსნილი იქნება ამ თეატრის მთელი შემოქმედებითი ლაბორატორია. ფილმის კონსულტანტად მიწვეულია ცნობილი მსახიობი ნ. ხმელიოვი.

„ივანე ნიკულინი—რუსი მეზღვაური"

მოსკოვის კინოსტუდიის ერთ-ერთი უახლოესი დადგმა იქნება „ივანე ნიკულინი — რუსი მეზღვაური". ამ ფილმში უნდა აისახოს შავზღვეველი მეზღვაურების თავგანწირული გმირული ბრძოლა ყუბანის ველებზე 1942 წლის ზაფხულში. ფილმი იქნება ფერადი. სდგამს მას რეჟისორი იგორ სავჩენკო.

„ახალგაზრდა გვარდია"

მოსკოვის კინოსტუდიის სამხატვრო საბჭომ დასადგმელად მიიღო კინოსცენარი, რომელიც მოგვითხრობს კრასნოდონელი საბჭოთა ჭაბუკებისა და ქალიშვილების თავგანწირული ბრძოლის ამბავს გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ მხატვრულ დოკუმენტურ სურათს სდგამს რეჟისორი ვ. პრონინი.

საბავშვო კინოფილმები

საკავშირო სამულტიპლიკაციო კინოფილმების სტუდია მიმდინარე წელს უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის გამოუშვებს ფერად სამულტიპლიკაციო სურათებს — „ტელეფონს", „მხიარულ ეზოს" (კინოკონცერტი), „დაკარგულ სიგელს" (გოგოლის მიხედვით) და „ზღვაზე მაღალს".

საბჭოთა მუსიკის საღამო ალჟირში

ალჟირის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში „კოლიზეიში" შესდგა საბჭოთა მუსიკის კონცერტი, რომელიც მოაწყო საზოგადოებამ „საფრანგეთი-საბჭოთა კავშირი". „რადიო ფრანსის" ორკესტრმა და გუნდმა შეასრულეს საბჭოთა კომპოზიტორების — შოსტაკოვიჩის, პროკოფიევის, რაკოვის და სხვ. ნაწარმოებები. კონცერტს ესწრებოდნენ სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები, უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა კავშირის ელჩი ამხ. ბოგომოლოვი, ფრანგული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ვესტიბიულში მოწყობილი იყო გამოფენა: „სტალინური პრემიის ლაურეატები ხელოვნებაში".

— „ეკო დ'ალჟე"-მ შეაფასა კონცერტი როგორც დიდი მუსიკალური მოვლენა და აღნიშნა, რომ სავსე დარბაზი უდიდესი აღფრთოვანებით უსმენდა საბჭოთა მუსიკოსთა ნაწარმოებების შესრულებას.

გაზეთი „ალჟე რეპუბლიკენ" წერს: „ამაღელვებელ სიმღერებში, რომელნიც შექმნილია საბჭოთა ხალხისათვის და თვით ხალხის მიერ, — გამოხატულია ბრძოლა აღმოსავლეთის ფრონტზე, პარტიზანების, მეზღვაურების, მფრინავების, მთელი წითელი არმიის გმირული საქმეები. ეს მუსიკა შთაგონებულია მდიდარი რუსული ფოლკლორით".

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე,
ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 00287